619
1952

19 619

დროშა

№ 4 აპრილი 1952

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის სახლი ულიანოვსკში.

ნახატი ზ. ლეჟავახი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 4 (9)

აპრილი 1952 წ.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

გამომცემლობა „კომუნისტი“

ქალთა მე-4 სკოლის მოსწავლეები ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის ერთ-ერთ დარბაზში

ფოტო მ. კვირიკაშვილისა და ვ. ტარხოვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის ლოგიკის ძალა

გ. ნაგროშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1924 წლის 28 იანვარს, კრემლის კურსანტების საღამოზე წარმოთქმულ სიტყვაში, ამხანაგმა სტალინმა შემდეგნაირად დაახასიათა ლენინის ფოლადისებური ლოგიკის ძალა და ძლევამოსილება:

„მხოლოდ ლენინს შეეძლო უაღრესად დახლართულ საგნებზე ასე უბრალოდ და გარკვევით, სხარტად და გაბედულად წერა,—როდესაც თვითეული ფრაზა კი არ მეტყველებს, არამედ ტყვიასავით ვარდება“.

აქვე ამხანაგი სტალინი იხსენებდა ტამერფორსის კონფერენციის დელეგატთა სიტყვებს ლენინის ლოგიკის შესახებ:

„ლოგიკა ლენინის სიტყვებში—ეს რაღაც ისეთი ყოვლადძლიერი იარაღია, რომელიც ყოველი მხრით მარწუხად შემოგეჭდობა და რომელსაც ვერ გაუსხლტები: ან დანებდი, ანდა იცოდე, რომ სრული მარცხი მოგივა“.

ამხანაგმა სტალინმა ზუსტად და ამომწურავად გვიჩვენა, თუ რა აძლევდა ესოდენ ბუმბერაზულ ძალას ლენინის ლოგიკას. ლენინმა თავიდანვე მაღლა აღმართა შემოქმედებითი მარქსიზმის დროშა; ამხანაგი სტალინის გენიალური განსაზღვრით „მარქსიზმი არის მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონთა შესახებ, მეცნიერება ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების რევოლუციის შესახებ, მეცნიერება ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, მეცნიერება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ“.

აი ეს ერთადერთი სწორი, ყველაზე მოწინავე რევოლუციური თეორია—მარქსისტულ-ლენინური თეორია, რომლის საფუძველზე ლენინი წარმატებით სწყვეტდა სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის ყველაზე რთულ ამოცანებს, სწორედ ეს თეორია, მოქმედების ეს დიადი სახელმძღვანელო ანიჭებდა ლენინს ყოველ ფრაზას უძლეველ და ბუმბერაზულ ძალას. ამხანაგ სტალინის სიტყვით „ლენინი რევოლუციისათვის იყო დაბადებული. ის იყო რევოლუციურ აფეთქებათა ნამდვილი გენია“... „რევოლუციურ მობრუნებათა დღეებში ის პირდაპირ ჰყვაოდა, გულთმისანი ხდებოდა, წინასწარ ჭვრეტდა კლასების მოძრაობას და რევოლუციის მოსალოდნელ ზიგზაგებს, ისე ხედავდა მათ, როგორც ხელისგულზე“.

აი, ეს გულთმისნობა, ეს გენიალური შორსმჭვრეტელობა, მოახლოებული ამბების შინაგანი აზრის სწრაფად მიწვდომისა და გამოცნობის უნარი ანიჭებდა ლენინს ლოგიკას განსაცვიფრებელ ძლევამოსილებას.

ლოგიკის ეს ფოლადისებური ძალა იგრძნობა ლენინის მთელი ოცდათხუთმეტი ვრცელი ტომის ყველა წერილში. ეროვნულ ფურცელზე, ყოველ აბზაცსა და სტრიქონში. თხზულებათა ეს კრებული — ხალხთა მასების დიადი ქარიშხლისებური მოძრაობის, რევოლუციური აფეთქებების, ბოლშევიკური პარტიის ლეგენდარული ბრძოლების მარად წარმტაცი მატიანეა. კითხულობთ ამ წიგნებს და პირდაპირ საკუთარი თვალითა ჰხედავთ ისტორიის ზეაღმავალ მსვლელობას, საკუთარი თვალითა ჰხედავთ როგორ ფანტავს, ამარცხებს, ანადგურებს უთვალავ, ათასი ჯურის მტრებს ლენინური ფოლადისებური ლოგიკა და ამ ბრძოლაში ლენინის ყოველი სიტყვა მარჯვედ ნასროლ, მიზანაუცდენელ ტყვიასავით ხვდება და სასიკვდილო ჭრილობას აყენებს მტრის გულს.

ლენინის ფრაზა განსაკუთრებულად ცხადი და სხარტია. ის ნათელია და ძლიერი, სადაა და რითული, ღრმად მეცნიერული და ბრძენული, უმტკიცესი, როგორც ფოლადი.

თავის გენიალურ „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ ლენინი ანადგურებს რაიდეალისტურ ფილოსოფიას, სხვათა შორის, არჩევს მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორის ჰანს კორნელიუსის ნაშრომს. ლენინი ჯერ ნათელჰყოფს, რომ კორნელიუსი მონურად იმეორებს თავისი მასწავლებლების — მახისა და ავენარიუსის დამპალ ემპირიოკრიტიცისტულ იდეებს, რომ ის შავრაზმული აზრების მქადაგებელია... მკითხველი უკვე ხედავს, თუ რაოდენ ყალბი და რეაქციულია კორნელიუსის მოძღვრება და აი, სწორედ ამ დროს, უეცრად ერთი სხარტი ფრაზა ლენინისა: „კორნელიუსი პროფესორის კათედრაზე ასული ურიადნიკიაო“—საბოლოოდ სპობს და აცამტვერებს მოწინააღმდეგეს, ქვას ქვაზედაც აღარ სტოვებს მისი კონცეპციისაგან.

აქ არა მარტო პუბლიცისტური სიბასრეა, არამედ განსაცვიფრებელი მხატვრული პლასტიკურობაც, თქვენ ხედავთ პრუსიელ ურიადნიკს, კორნელიუსს, რომელსაც ფილოსოფოსის მანტია გადაუცვამს, კათედრაზეც ისე გაბღენძილა, როგორც მისდამი რწმუნებულ საპოლიციო უბანში, იმავე დროს „გნოსეოლოგიურ ემპირიზმზე“ და „პოზიტივიზმზე“ მსჯელობს, მაგრამ, ვერც ამ მანტიით და ვერც ჯამბაზური ფრაზებით ვერ ჰფარავს ვერც თავის პოლიციურ დინგს და ვერც ურიადნიკის პაგონებს, უფრო მეტიც—თქვენ იმასაც ხედავთ, თუ რაოდენი სიბრიყვეა მთელი ემპირიოკრიტიცისტული ფილოსოფია. ის მხილებულია, საჯაროზე გამოტანილია, მას ფარისევლური ნიღაბი უკვე ჩამოგლეჯილი აქვს, დაე, ახალი ნიღაბი ეძებონ, როგორც უნდათ გამოუცვალონ მას სახელი, თუნდაც ეპირიომონისტული ფილოსოფია უწოდონ, თუნდა იმანენტური, ამ აშმორებულ დუქანს, ამ დამპალ საქონელს ვეღარავითარი ახალი აბრა ვეღარ უშველის. ლენინი აქვე აღნიშნავს:

„სახელწოდება „იმანენტები“... არსებითად ისეთსავე თვალთმაქცურ აბრას წარმოადგენს დამპალი საქონლის გასასაღებლად, როგორც ევროპის ბურჟუაზიული პარტიების აბრებია“.

ლენინმა თავის ხსენებულ წიგნში გენიალურად ნათელჰყო, რომ ბურჟუაზიული ფილოსოფოსების დაუსრულებელი ცდები—ახალ-ახალი სახელები მოუძებნონ სახელგატეხილ და დამარცხებულ იდეალიზმს—ეს არის მხოლოდ „მეწვრილმანის უსაზღვრო სიჩლუნგე“, „ძველი ნაგავის გამოფენა ახალი... ტერმინოლოგიის სახელით“. „სიტყვიერი აბრუნდების პრეტენზიული სამოსელი“, „ახალი ფილოსოფიური „იზმებით“ სქოლასტიკური თამაშობა“, შინაარსი კი ძველია—ესაა დამპალი კაპიტალიზმის აპოლოგია.

1947 წელს გამართულ ფილოსოფიურ დისკუსიაზე ამხანაგი ა. ჟდანოვი აღნიშნავდა: „მატერიალიზმის მოწინააღმდეგეებთან ბოლშევიკური ბრძოლის ნიმუშს წარმოადგენს ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, სადაც ლენინის თვითეული სიტყვა არის გამგმირავი მახვილი, რომელიც მოწინააღმდეგეს სპობს“. ეს გამგმირავი მახვილი მთელი ძალით მოქმედობს დღესაც—მოწინავე მოაზროვნენი მთელ მსოფლიოში ამ ძლევამოსილი, უბასრესი იარაღით ებრძვიან და ანადგურებენ დამპალი ბურჟუაზიული ფილოსოფიის ახალ „იზმებს“, კათედრაზე ასულ განგსტერებს, იმ „იდეოლოგიურ“ შხამსა და საწამლავს, რომელსაც ანთხევს უოლ-სტრიტი კოსმოპოლიტიზმისა, პრაგმატიზმისა, სემანტიკური იდეალიზმისა და სხვა ათასგვარი „იზმების“ სახით. ლენინის დიადი წიგნი დღესაც გამგმირავი მახვილია მოწინავე კაცობრიობის ხელში ბნელეთის მოცქიულთა ბოდვის, იმპერიალისტური რეაქციის ფილოსოფიის შესამუსრავად. ახლახან ინგლისში კომუნისტმა-ფილოსოფოსმა მორის კორნფორტმა გამოაქვეყნა წიგნი „ფილოსოფიის დასაცავად“, რომელშიაც მან ამხილა უოლ-სტრიტის მოსყიდული ფილოსოფოსები; მორის კორნფორტი ებრძვის რა სემანტიკურ იდეალიზმს, პოზიტივიზმს, პრაგმატიზმს, მთელ იმპერიალისტურ ფილოსოფიას—ყოველ ნაბიჯზე ეყრდნობა ლენინის „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმს“ და სტალინის ნაშრომს „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“. ეყრდნობიან რა ლენინისა და სტალინის ამ გენიალურ ნაშრომებს—ამერიკელი მარქსისტ-ლენინელები—ვილიამ ფოსტერი, იუჯინ დენისი, ჰოვარდ სელზამი, ბეტი ჰარნეტი ნიღაბსა გლეჯენ ბურჟუაზიული ფილოსოფოსების ცდებს შეუცვალონ სახელი რეაქციულ იდეალიზმს, ახალი ნიღაბი გაუკეთონ და ეს შხამი გაავრცელონ, რათა ამით ხელი შეუწყონ უოლ-სტრიტის იმპერიალისტურ ექსპანსიას. ასეთსავე სურათსა ვხედავთ საფრანგეთში: რეაქციულ ექსისტენსიალიზმს, პერსონალიზმის რელიგიურ-მისტიკურ ფილოსოფიას, საერთოდ ყველა ახალ თვალთმაქცურ „იზმს“ ფრანგი კომუნისტები ებრძვიან და ნიღაბსა ჰგლეჯენ იმ ბასრი იარაღით, რომლითაც მოწინავე კაცობრიობა შეიარაღეს ლენინმა და სტალინმა. ამ ბრძოლის სურათსა ვხედავთ ყველა მარშალიზებულ ქვეყანაში; მოწინავე ადამიანები იბრძვიან მშვიდობისა და თავისუფლებისათვის, იბრძვიან იმპერიალისტური რეაქციის დასთრგუნად და ამ დიდ ბრძოლაში ლენინი ყველგან ცეცხლის მოწინავე ხაზზეა—ის გზას უნათებს მოწინავე აზროვნებას. ამ დიდ ბრძოლებში იმარჯვებს ლენინისა და სტალინის აზრი, ვინაიდან ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ „წაგებულია ახალი ფილოსოფიური პაწია სკოლების დამაარსებლების, ახალი გნოსეოლოგიური „იზმების“ შემთხზველების საქმე, წაგებულია სამუდამოდ და უიმედოდ“.

ლენინის ფრაზაში კათედრაზე ასული ურიადნიკის შესახებ—მხილებულია ბურჟუაზიული ფილოსოფიის მთელი შინაარსი— იქ პოლიციის ჩინიც და ფილოსოფოსი-იდეალისტიც ერთ საქმეს აკეთებენ; ასე იყო ადრე ბურჟუაზიულ სამყაროში, ასეა ახლაც. გაიხსენეთ თუნდაც სემანტიკური იდეალიზმი, რომელსაც დღეს ბურჟუაზიული ფილოსოფოსები ქადაგებენ. ეს ახალი „იზმი“, ახალი თვალთმაქცური აბრა ძველი იდეალიზმისა აშკარად დგას ამერიკული ფაშიზმის სამსახურში. ამ „იზმის“ მოციქულები—ნეომახისტი კარნაპი, პოლონეთიდან გაქცეული გრაფი კორჟიბსკი, ჩიკაგოელი „მეცნიერი“ მორისი—დოლარის დიპლომიანი ლაქიები არიან. ერთი შეხედვით, ისინი ვითომ განკენებულ საგნებზე მსჯელობენ, ვითომ სულ ღრუბლებში დაფრინავენ, მაგრამ მათს ყოველ წიგნს ეტყობა, რომ ავტორს დოლარების საკმაოდ დიდი შეკვრა მიუღია ე.წ. „ფედერალურ გამოძიებათა ბიუროსაგან“, ანუ ამერიკის დაზვერვისაგან. რას ამტკიცებენ ეს სემანტიკური იდეალისტები? არაფერს ახალს, მათ მხოლოდ აღადგინეს შუა საუკუნეების სქოლასტიკური ნომინალიზმი, რომლის მიხედვით ზოგადი ცნებები—პირობითი ცნებებია, ბგერათა უბრალო შერწყმაა, რომლებიც რეალურს არაფერს არ გამოხატავენ,. მაშასადამე, სემანტიკოსების აზრით ცნებები „კაპიტალი“, „ნაცია“, „შრომა“ და ა. შ. არაფრის გამომხატველი აბსტრაქციებია. იდეალისტების ამ ბოდვას ტრუმენის დიპლომატები ყოველ ნაბიჯზე იყენებენ. ასე, მაგალითად, როცა 1948 წელს, ივნისში, საბჭოთა დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოციალურ და ეკონომიურ საბჭოში შეიტანა წინადადება ფაშისტური ორგანიზაციების აკრძალვის შესახებ—საწინააღმდეგოდ გამოვიდა ამერიკის დელეგატი, მოიშველია სემანტიკური იდეალიზმის საბუთები და განაცხადა, რომ ცნება „ფაშიზმი“—სემანტიკური ფილოსოფიის მიხედვით, რეალურად არაფერს გამოხატავს და აბა როგორ აკრძალავთ ის, რაც სინამდვილეში არ არსებობსო!

აი მთელი აზრი სემანტიკური იდეალიზმისა.

სამოქალაქო ომის დროს, 1918 წელს, 20 აგვისტოს ლენინმა გამოაქვეყნა „წერილი ამერიკელი მუშებისადმი“, რომელშიაც აღნიშნავდა:

„ყოველ დოლარზე ჩანს ტალახის გუნდა... ყოველ დოლარზე ჩანს სისხლის კვალი — იმ სისხლის ზღვიდან, რომელიც დაიქცა ათი მილიონი ადამიანის მოკვლის და ოცი მილიონის დასახიჩრების შედეგად“.

სახლი გორკაში

ნაზიმ ჰიქმეთი

ჩვენ ყველამ ვიცით,
ჩვენ ყველას გვახსოვს
გორკაში სახლი
თეთრი სვეტებით...
მოგონებებში კაეშანს ვაქსოვ,
როს იქ ფიქრებით დავეხეტები.
ნაძვების ტევრში ფართო გზა მიდის,
დუმილს მოუცავს მთელი ის მხარე...
გვახსოვს
იანვრის ცივი ამინდი
და ფეხქვეშ თოვლის კვნესა მწუხარე,
გვახსოვს
ამ სახლში უბრალო კუბო,
უბრალო „ხალხი თვალცრემლიანი
ხევდა,
გლოვა
და ცრემლების გუბე,
კუბოში—
დიდი ადამიანი!
სდუმდა ოდესღაც სიცოცხლით სავსე,
გულთბილი მამა ყველა ჩაგრულის,
შემდეგ,
მოჰქონდათ კიბეზე მასებს
მისი ცხედარი გულში ჩაკრული...
ამ სახლში იწვა ის, ავადმყოფი,
ვინც გაიწოდა თავის მარჯვენა
და ამ ქვეყანას
ახალი ყოფის,
ბედნიერების გზები აჩვენა.
მას შესცქეროდა
მსოფლიო მთელი,
მის ხმაში ღელარდ ბრძოლის მოტივი
ახლა
დაეშვა დაბლა ეს ხელი
ჩამოტეხილი მუხის ტოტივით.
რაზმავდა მისი ნათელი აზრი
მასებს საბრძოლო სულისკვეთებით...
ვვახსოვს
ძაძებში ფართო დარბაზი,
გვახსოვს
ეს სახლი
თეთრი სვეტებით!

. . . . . .

აქ მას,
ავადმყოფს ედგა საწოლი,
აქ იჯდა სკამზე
ფიქვის ხეებთან,
გვერდით კი ჰყავდა თანამებრძოლი—
დიდ მასწავლებელს ეს ამხნევებდა.
დასტრიალებდა ძმასავით თავზე,
ზრუნავდა,
ღამეს თეთრად ათევდა.
მისი თვალები ნათელით სავსე
ხნეულს სიცოცხლის იმედს მატებდა.
გვახსოვს ჯორკა
და ცივი ზამთარი,
გვახსოვს ეს სახლი
თეთრი სვეტებით,
თოვლის ჭალარას სწეწავდა ქარი,
თან გაჰკიოდა თავგამეტებით.
...ქვეყანა გლოვის ძაძამ შემოსა,—
დადუმდა გული
მგზნებარე ერთ დროს
მაგრამ
თვალებში სიკვდილის დროსაც
დიდი აზრების ნათელი ენთო.
არა,
თავს ხევდა-გლოვას არ მივცემთ!
ის არ მომკვდარა!
ის ცოცხლობს მარად!
ჩვენ შევასრულებთ ყოველთვის მტკიცედ
— რაც გვიანდერძა,
რაც დაგვიბარა.
იგი —
გრძნობაა ლენინის ამგზნები,
მის უკვდავ სახელს გულში ვინახავთ,
სტალინს მივყავართ იმ ნათელ გზებით
დიდმა ლენინმა რომ დაგვისახა.
ველზე ტრაქტორის ხმა როცა ისმის,
ან გუგუნებენ ქარხნის ბრძმედები
თვალწინ მიდგება მე სახე მისი
და მახსოვს სახლი
თეთრი სვეტებით.

თარგმანი თურქულიდან

ვასო ანგ ჯეკელიანისა

ამ სხარტმა, მართლაც ფხიანმა და ბასრმა ფრაზამ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოჰგლიჯა ნიღაბი ამერიკის მტაცებლურ იმპერიალიზმს, გააშიშვლა ის და ჩვენს თვალწინ წარმოსდგა შემაძრწუნებელი ურჩხული — უოლ სტრიტი, რომლის მაგნატები ბიზნესს აკეთებენ ადამიანების ტანჯვაზე, ქალაქების დანგრევაზე, მილიონობით ქვრივებისა და ობლების სისხლისა და ცრემლების ზღვაზე. და ყველაფერი ეს ნათქვამია ამ მოკლე, სხარტ ფრაზაში! სისხლსა და ტალახში ამოსვრილი დოლარი — ეი რს, რომლის სახელით გადათქერეს იმპერიალისტებმა ლათინური ამერიკა, რომლის სახელით იწვიან და ბოლავენ სახლები კორეასა და ვიეტნამში... ეს სისხლსა და ტალახში შესვრილი დოლარი — ეხ შავი, ბინძური სული ამერიკელი მულტიმილიარდერისა — ცდილობს გააჩაღოს ახალი ომის ხანძარი, მას შეჰყავს ატლანტიკის ბლოკის შემადგენლობაში ახალი ქვეყნები, აკოწიწებს აგრესიულ სამხედრო ბლოკებს ხმელთაშუა ზღვის რაიონში და წყნარ ოკეანის აუზში, გააფთრებით ცდილობს გერმანიისა და იაპონიის მილიტარიზმის აღორძინებას...

მაგრამ ეს სისხლსა და ტალახში მოსვრილი ურჩხული უძლურია მოწინავე კაცობრიობის წინაშე; ის ვერ შეაფერხებს ისტორიის ჩარხის ბრუნვას, ისტორიისას, რომელიც განაგრძობს თავის ძლევამოსილ წინმსვლელობას ლენინისა და სტალინის მიერ ნაჩვენები გზით. ასეული მილიონობით ადამიანები ირაზმებიან მშვიდობის დასაცავად და მათი ხმა მთელ მსოფლიოში ჰქუხს მონობის დასათრგუნად. ამ ბრძოლაში მილიონების ძლევამოსილი იარაღი — ლენინის სიბრძნეა, სტალინის სიბრძნეა.

ასე მოქმედობს და იბრძვის ლენინისა და სტალინის ყოველი სიტყვა. ასე ანადგურებს ეს ძლევამოსილი მოძღვრება — მარქსიზმ-ლენინიზმი ყველაფერს დახავსებულს, რაც წინ ეღობება კაცობრიობის გიგანტურ წინსვლას კომუნიზმისაკენ; იმავე დროს ეს დიადი მოძღვრება გზას უნათებს, აღორძინებს, ყველაფერს ახალს, იმას, რაც იზრდება, რასაც კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ მივყევართ.

ფასების ახალი დაკლება

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ“.

ფასების ამ ახალ დაკლებაში ჩვენი დიდი სამშობლოს მშრომელები სამართლიანად ხედავენ მასების კეთილდღეობისათვის პარტიისა და პირადად ამხანაგი სტალინის ზრუნვის კიდევ ერთ მკაფიო გამოვლინებას.

სახელდახელო მიტინგზე გამოსული მშრომელები ლაპარაკობდნენ საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის წარმატებაზე, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი გამარჯვებებზე, ლაპარაკობდნენ იმ უდიდეს უბედურებაზე, რომელსაც შეიარაღების გამალებული ზრდა და მშრომელთა საარსებო პირობების პროგრესიული გაუარესება ქმნის კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ფოტოზე: დაკლებული ფასებით ვაჭრობა თბილისის მაღაზიებში

ფოტო მ. კეჩრიკაშვილისა

მარშალიზებულ ევროპაში

ჰოლანდიის მთავრობამ 15%-თ ასწია პურის ფასი. ამის გამო მინისტრმა მანსხოლტმა რიხით განაცხადა: „პურზე მორიგი ფასის გადიდება სახელმწიფოს მისცემს წლიურად 45 მილიონ გულდენსო“.

(გაზეთებიდან)

ნახატი გ. ლომიძისა

ა. ბოჩკინი*

სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი

დიდი სტალინის დავალებით უახლოესი ხუთიექვსი წლის განმავლობაში უნდა ავაგოთ სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხები, შეექმნათ სარწყავი სისტემა 1,5 მილიონ ჰექტარზე და მოვრწყათ 1,700 ათასი ჰექტარი მიწა ხერსონის, ზაპოროჟიეს, ნიკოლაევის, დნეპროპეტროვსკის ოლქებში და ჩრდილოეთ ყირიმის რაიონებში.

მუშაობის ასეთი გრანდიოზული მასშტაბი, ასეთი ჩქარი ტემპი არ იცის, არც ევროპამ, არც ამერიკამ. ამ უდიდეს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობამ ერთდროულად უნდა გადაწყვიტოს ირიგაციის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და წყლით მომარაგების პრობლემები.

მდ. დნეპრის სიგრძე 2.500-მდე კილომეტრს უდრის. როცა ეს დიდი მშენებლობა დამთავრდება, მისი წყლები იდენენ 50 ათასი კილომეტრის სიგრძის არხებში. ასე რომ, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის საირიგაციო ქსელის სიგრძე ეკვატორის სიგრძეს გადააჭარბებს.

დნეპროჰესის საგუბართან, რომელსაც ლენინის სახელობის ტბას უწოდებენ, იწყება სამხრეთ უკრაინის არხი. მისი სახით დნეპრის წყალი ახალ კალაპოტს იპოვის ზაპოროჟიეს, ხერსონისა და ყირიმის სტეპებში. ქალაქ მელიტოპოლის ჩრდილოეთით იგი შექმნის უდიდეს წყალსაცავს 6 მილიარდი კუბმეტრის ტევადობით, მოძრაობაში მოიყვანს მძლავრ ელექტროტურბინებს და შემდეგ ისევ უთვალავი არხებით იდენს უკრაინისა და ყირიმის ბარაქიანი მინდვრების მოსარწყავად.

ქალაქ კახოვკასთან მდ. დნეპრს წინ აღუდგება მძლავრი კაშხალი. აქ შეიქმნება „კახოვკის ზღვა“ 14 მილიარდი კუბმეტრი წყლის ტევადობით. გემების გასასვლელად კაშხალთან აღიმართება რაბი, ხოლო წყალსაცავიდან არხებში წყლის გადასატუმბავად აიგება სატუმბავი სადგურები.

ასეთი მძლავრი სარწყავი სისტემა დნეპრის წყალს მიაწვდის სამხრეთ უკრაინის 484, ხოლო ყირიმის — 200 კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას. მოირწყვება 3 მილიონზე მეტი ჰექტარი მიწა. ეს ფართობი, კლიმატური პირობების მიუხედავად, მუდამ მაღალმოსავლიანი იქნება; 1950 წელთან შედარებით მორწყულ ადგილებზე მარცვლეულის მოსავალი გაიზრდება 5-ჯერ, ბამბის მოსავალი — 12-ჯერ, ბოსტნეულისა და კარტოფილის—18-ჯერ, ხოლო საქონლის საკვები ბალახის — 38-ჯერ.

სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის სიუხვესთან ერთად, ვრცელი ტერიტორიის მორწყვა დიდად გააუმჯობესებს სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის ჰავას, ყოველგვარ პირობას შექმნის იმისათვის, რომ გაშენდეს ტყის ფართო მასივები, ხილის ბაღები და ვენახები.

ორი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სსრკ მინისტრთა საბჭოს ისტორიული დადგენილება სამხრეთ უკრაინის, ჩრდილოეთ ყირიმის არხებისა და კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ. ამ ხნის განმავლობაში მშენებელთა კოლექტივმა ბევრი რამ გააკეთა.

სამშენებლო უბნების ახლოს — კახოვკის, ზაპოროჟიესა და მელიტოპოლის რაიონებში შეიქმნა მშენებელთა ახალშენები. უკვე საექსპლოატაციოდ გადაცემული იქნა 27 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აიგო კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა 106, და სამრეწველო და დამხმარე საწარმოთა 30 შენობა. გაყვანილია 154 კილომეტრი რკინიგზის ხაზი ფედოროვკიდან კახოვკამდე, და დასასრულს უახლოვდება მაღალი ძაბვის ელექტროქსელის გაყვანა კრივოი როგიდან კახოვკამდე.

მაგრამ მთავარი სამუშაო, რომელთა გრანდიოზულობა უკვე აღვნიშნეთ, ახლა იწყება. კომუნიზმის ამ დიად მშენებლობაში თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას. ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი გამსჭვალულია იმ აზრით, რომ უშუალო მონაწილეობა მიიღოს კომუნიზმის სტალინურ მშენებლობაში დნეპრზე.

სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხებისა და კახოვკის ჰიდროელსადგურის მშენებელთა კოლექტივის დიდი პატივისცემა დაიმსახურეს საბჭოთა საქართველოდან ჩამოსულმა სპეციალისტებმა და კოლმეურნეებმა. ვისაუბროთ მათზე:

ახალგაზრდა ინჟინერი ლაზარე გელაზონია, რომელმაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, წარმატებით მუშაობდა ამ დიადი მშენებლობის მთავარ სამმართველოში. ახლა მას დამოუკიდებელი საშუშაოს ხელმძღვანელობა მიანდეს მოლოჩნოის უდიდესი წყალსაცავის მშენებლობაზე. ქართველი ინჟინრები: გრიგოლ ბერიძე, ერმილე რატიანი, კარლო ხოფერია და ვახტანგ წულეისკირი თავდადებით შრომობდნენ, რომ მოწინავე გაეხადათ მშენებლობის ერთ-ერთი ჩამორჩენილი უბანი.

სამხრეთ უკრაინის არხის უდიდეს ტრასზე განსაკუთრებით ისახელა თავი ბრიგადირმა თედორე ცირიკაშვილმა, იგი ყოფილი კოლმეურნეა და ყვარლის რაიონიდან მოვიდა უკრაინელ ძმებთან. სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს ბრძანებით, ხუთ დაჯილდოებულ ოსტატს შორის, ისიც დაჯილდოეს „მებამბეობის საქმეში სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსნის“ ნიშნით. წელს იგი განსაკუთრებით თავგამოდებით მუშაობს მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე. მეოთხე სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კომუნისტებმა თედორე ცირიკაშვილი პარტიულროს მდივნად აირჩიეს.

დიდ დახმარებას უწევენ სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლებს საბჭოთა საქართველოს მეცნიერები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებმა შეიმუშავეს ყირიმისა და ხერსონის ნიჟარებისაგან მსუბუქი ბეტონისა და რკინაბეტონის მიღების მეთოდი.

მადლობის ღირსნი არიან თბილისისა და ქუთაისის საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად ასრულებენ კომუნიზმის მშენებლობის დაკვეთებს.

საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს ჩვენი არხების მშენებელთა და საქართველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა და საწარმოთა კოლექტივების შემოქმედებითი კავშირი.

მთელი ხალხის მხარდაჭერით, ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის მუდმივი მზრუნველობით, ჩვენ, მშენებლები, პირობას ვიძლევით, რომ კომუნიზმის დიადი მშენებლობის სამუშაოებს დნეპრზე მაღალხარისხოვნად და ვადაზე შევასრულებთ.

სამი მშენებელი მოვიდა სამხრეთ უკრაინის არხის მშენებლობაზე სამი მოძმე რესპუბლიკიდან: ქვისმთლელი ივან სერგიენკო — სმოლენსკიდან, სამშენებლო უბნის უფროსი ვახტანგ წულეისკირი — თბილისიდან, დურგალი ალექსანდრ ვაიცეკოვსკი — კიევიდან. ფოტოზე: სამი მეგობარი სამშენებლო უბანზე.

* დაწერილია სპეციალურად ჟურნ. „დროშისათვის“

ირაკლი აბაშიძე

ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავ უეცრად ამ ალაზნიდან

ნეტავ უეცრად ამ ალაზნიდან,
ამ მკის გუგუნში, ამ სიცხარეში,
მაღლა არწივის მხრებით ამზიდა,—
გადამახედა ვოლგის მხარეში.

ამ ლურჯ ქედებზე გადამაგენა,
კარი გამეღოს ზეცის კამარის
და ანთებული თვალით მაჩვენა
იქ რომ ბუღი დგას, იქ რომ მკა არის.

წინ გამიშალა ვოლგისპირეთი,
ახალ მოსავალს გლეხს რომ ულოცავს,
იქ რომ ვეფხურად მკიან გმირები,
იქ რომ ლომები გრეხენ ულოსა.

ხვავზე მაჩვენა დროშის ციმციმი,
ველზე მანქანა ახალ-ახალი,
როგორც ბრძოლაში, ათი წლის წინათ,
სტალინგრადში რომ მიჰქრის აღალი.

გადამახედა ამ მთის გადაღმა,
გამინამდვილა ნატვრა მცირედი,—
დიად შენების ბოლში მანახვა
აქუხებული ვოლგისპირეთი.

ექსკავატორთა გუნდი მაჩვენა*
ჰანგი მასმინა მათი ხმაურის;
აფეთქებათა ტალღ ს გაჩენა
ჟრუანტელივით პურს რომ ჩაუვლის.

კომბაინების ფრენა ჩქარ-ჩქარი,
ფრენა ველებზე ზღაპრულ ფრინველის...
თითქოს სადგურებს, იმ დიდ კაშხალებს
აგურს აწვდიდეს კომბაინერიც.

თითქოს გიგანტებს თავს დასტრიალებს
თვალი მზრუნველი პურის მკელების...
ორი სიმღერა ერთად გრიალებს:
სიმღერა მკის და დიად შენების.

მე ალაზნიდან ვოლგას გავყურებ,—
გმირებს ზღაპრულებს, გმირებს პირველებს,
მე აქ ვუმღერი იმ დიდ სადგურებს,
რომ ხმა შევუწყო ვოლგისპირელებს.

მე აქ ვუმღერი, მე აქ ვუმღერი
იმ დიდ კაშხალებს, ცამდე აწვდილებს,
ვარ დაუცლელი, ვარ დაუღლელი,
დიად შენების ვარ მონაწილე.

მელანდებიან შორი ანძები,
ცეცხლისმფრქვეველი მდევთა ქურები,
გაუგონარი ჰიდროკვანძები,
გიგანტიური ელსადგურები.

მესმის ბუნებას როგორ შეება
ბათქები ნაღმის და ამონალის,
რომ კოჰუნიზმის ნათელ დღეებად
ხვალ აკიაფდნენ დღენი მომავლის.

საღღეგრძელო

არ შეაკლდება ხვავი ჩვენს გლეხკაცს,
სამკალი სამკალს მიემატება...
გემს გაუმარჯოს, რომელიც ეხლა
ინდოეთისკენ მიემართება!

გემს გაუმარჯოს!.. შორს მიდის გემი,
მიდის, თან მისდევს თვალი მილეთის,
მიაქვს საბჭოთა ველების ძღვენი —
ალაზნისა და ვოლგისპირეთის.

არ უშინდება ზავთიან ავდარს,
ქარიშხლის გუგუნს, ტალღების გრეხას,
მიდის, — მიუსწროს სამარის კართან
შიმშილით მიმდგარ პენჯაპელ გლეხკაცს.

გემს გაუმარჯოს... მე ვხედავ ნათლად
შორს როგორ დინჯად მიადგა ნაპირს,
მიადგა, როგორც გლეხკაცის ნატვრა,—
სიცხადე სიზმრის, სიმართლე ზღაპრის.

მე ვხედავ ნათლად ინდოელ მშრომელს —
უღონოდ როგორ ასწია თავი
და მაღალ გემთან, მშიერთა შორის,
ცახცახით დადგა—ძვალი და ტყავი.

ეს მისთვის, მისთვის ძვირფასი ძღვენი
მიადგა ნაპირს—ხ ე ლ გ ა წ ვ დ ა ძმური...
შეერგოს ძმებო, თავთუხი ჩვენი,
შეერგოს ჩვენი საბჭოთა პური.

გასტეხოს მისივ სამშობლოს მოლზე
ამ პურის ტოლი, ამ პურის ცალი;
ყველა ტანჯულის ჩვენა ვართ მომმე,
ყველა ჩაგრულის ჩვენ გვიცქერს თვალი.

დალოცოს ჩვენი მარჯვენის ძალა
მისებურ სიტყვით, მისებურ ენით,
დალოცოს ჩვენი ალაზნის ჭალა,
ადიდოს ბრძენი ბელადი ჩვენი.

ჩვენგვარად მანაც აჰხედოს ზეცას,
კაცია იგიც, ჩვენებრ გლეხია...
ეს, გაუმარჯოს ინდოელ გლეხკაცს,
ჩვენ მასთან პური გაგვიტეხია.

კომბაინერი

კეფაზე ქუდი თუშური,
ფეხზე გლეხკაცის წაღები,
ტანზე ხალათი მუშური,
მკლავზე ფოლადის ძარღვები.

შავი გიშერის ბულული
წარბამდე წამოხურული...
გადის, გამოდის სამკალში
რკინაჩაცმული ვაჟკაცი.

მაღლიდან ხედერს დასცქერის
საკინძშეხსნილი, გულღია.
ბუნკერში ხორბლის ჩანჩქერი,
ჰაერში ნამჯის ბუღია.

არც კომბაინი უმტყუნებს,
არც თვით უმტყუნებს ამხანაგს...
ალაზნის ველზე გუგუნებს
როსტოვს ნაქედი მანქანა.

ნეტავ თავთუხით დასთესა, —
მკას სთხოვდეს ამერ-იმერი...
ურმულს ღიღინებს საქესთან
გლეხკაცი კომბაინერი.

გულს რომ იჯერებს სამკალით,
როცა ტკბილ შრომით გაძღება,
ძრავი ჩაქრება მანქანის,
ჩამოისვენებს, დაცხრება.

გზეთს გადაშლის ახალსა,
მანქანის ჩრდილში დაჯდება.

ხან გაიქროლებს ხახგანთან,
ხან ვიეტნამში გაჩნდება.

ბოღმით ივსება გულმართლად
მტრის მადით აუტანელით...
არც კორეელი უნახავს,
არც გლეხი ვიეტნამელი.

მაგრამ ხმა ესმის ყორნების, —
ვაჟკაცის სისხლის შემსმელთა,
ისიც იქა დგას გონებით
პურის მკელთან და მთესველთან.

მათთან დგას თითქოს მხარდამხარ
მისი გულიც და მარჯვენაც,
ვინც ომში კვდება ხანგანთან
სამშობლოს გადასარჩენად.

მათთან ტრიალებს სანგრებში,
ბრძოლის ცეცხლსა და ჯაფაში.
გაზეთს დახურავს... ყანებში
ჯერ არც გასულა შაბაში.

— „ჰაი დედასა მტრისასა“!—
წამოიჭრება ვაჟკაცი,
ფიცხლავ დაჯდება საქესთან,
გადაეშვება ხამკალში.

მაღლიდან ხედერს დასცქერის
საკინძშეხსნილი, გულღია...
ბუნკერში ოქროს ჩანჩქერი,
ჰაერში ნამჯის ბუღია.

ჰღანგაციაში

ისევ აფეთქდნენ ჩაის ფოთლები,
დამათრობელი დადგა სურნელი,
ისევ ხელმარჯვედ, თავგამოდებით
ჰკრეფენ მოსავალს კოლმეურნენი.

თეთრად ბრწყინავენ, თეთრად ელავენ
მწვანე ბუჩქებზე ჭილის ქუდები,
თითქოს მოსტაცა ქარმა მწვერვალებს —
ველს მოაბნია თოვლის გუნდები.

აღაღანებულ ტრიალ ველებში
სხედან ბუჩქებზე მწვანე პეპლები
და გაზაფხულის ტკბილ სიმღერებში
ხელით იჭერენ ჩაის მკრეფლები.

გრძნობას ატყვევებს, სმენას იტაცებს
იქეთ ვარადა, აქეთ თოხნური ..
განა ცდებოდნენ, რომ ამ მიწაზე
ეგულებოდათ ვერძი კოლხური!

მღერის სოფელი, მღერის ხმამაღლა
დამშვიდებული და უშფოთველი...
შორს, შორს, ათეულ ზღვების გადაღმა
ასევ ხარობენ ჩაის ფოთლები.

იქაც მდიდრული და ჯიშიანი
ასევ გაშლილი ჩაის ველია,
მაგრამ მოთქმაა მისი შრიალი,
იგი მონების ცრემლით სველია.

იგი სველია სისხლის წვეთებით,
შრომის ტყვეობა-სიმწუხარეში;
ჰკრეფს და ოცნებობს ჩაის მკრეფელი
ძმებზე, შორეულ, ნათელ მხარეში.

ამ ველს შენატრის, ამ გზებს შესცქერის
თვალი ხმელეთის, თვალი მილეთის.
იყოს დღეგრძელი, იყოს დღეგრძელი
ჩვენი სამშობლო, — ტანჯულთ იმედი.

საღამოვდება, ზვირთებს მღელვარეს
ჰგავს პლანტაციის მწვანე ტალღები,
მწვანე ველებზე წითლად ელავენ
სახურავები ახალ სახლების.

მალე შორეულ ქედებს მისწვდება
მთვარის ისარი დაუცდენელი
და სულ ზღვასავით ლურჯი იქნება
ჩაის მორევი თვალუწვდენელი.

---

* ციკლიდან „სიმღერა მკის დროს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოვანი 30 წელი

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს 30 წელი შეუსრულდა. ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით, კომუნისტური პარტიისა და დიდი სტალინის მზრუნველობის შედეგად სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, მთელს ჩვენს რესპუბლიკასთან ერთად, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, როგორც სამეურნეო, ისე კულტურული მშენებლობის ფრონტებზე. ახალი, სოციალისტური ცხოვრება დამკვიდრდა სამხრეთ-ოსეთის სოფლებსა და ქალაქებში. ახალი არხებით დაისერა მანამდე ურწყავი მიწები და მთის მიუვალ სოფლებშიც შეიჭრა ილიჩის ნათურების შუქი. ტრაქტორები და კომბაინები დაგრიალებენ ოლქის საკოლმეურნეო მინდვრებზე. ცხვრის ფარებითა და პირუტყვის ჯოგებითაა დაფარული მწვანე საძოვრები. აშენდა და რესპუბლიკის ერთ-ერთ კეთილმოწყობილ ქალაქად იქცა საოლქო ცენტრი — სტალინირი. ფართოდაა გაშლილი საკურორტო მშენებლობა.

სტალინირს უკვე აქვს საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი და რამდენიმე საკვლევო-სამეცნიერო დაწესებულება. დიდი ტირაჟით გამოდის და ვრცელდება გაზეთი და წიგნი ოლქის ყველა კუთხეში.

ახალგაზრდა ოსურ მწერლობასა და თეატრს უკვე აქვთ გარკვეული მიღწევები, ხოლო ოსური ხალხური ცეკვის ანსამბლები საბჭოთა მაყურებლის გულწრფელ მოწონებას იმსახურებენ. განვლილი ოცდაათი წლის მანძილზე მიღწეული წარმატებები თავდებია იმისა, რომ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელები უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ორი მზე

რევაზ ასაევი

სამგორში ჩნდება სინათლე,
შუქის კერაა — ვანათიც.
იქაც და აქაც, ორივეს
თავზე ორი მზე დაჰნათის.

ორი მზე — ორი სეხნია,
ორივ სილაღე ბუნების,
ხევებში ამობრწყინდება
ილიჩის ელნათურებით;

ეს ჩვენი ელსადგურია,
ბნელ ხევთა გადასანათი.
ელსადგურია სამგორშიც,
სეხნია ჩვენი ვანათის.

მოდის და მოდის მთებიდან
მშრომელთა გუნდი ღვარებად, —
ფეხზე ამდგარა ოსეთიც
სამგორის დასახმარებლად.

მოდიან სახლიკაცები
იმ ჩემი სტალინირიდან —
მხარზე ბარით და ნიჩაბით,
შეკრულნი ერთის პირითა.

მოდიან სამგორისაკენ,
ფეხქვეშ ქვიშნარი შრიალებს.
იმათი სუნთქვა ქარსა ჰგავს,
ღიმილი — ველებს მზიანებს.

იმათი შრომა ერთია,
ერთია ცეცხლი ნართული, —
მათაც სურთ, მათმა წერაქვმაც
დათხაროს მიწა ქართული.

აჰა, კარვები ფიცრული,
მიწა და ლოდი ნატეხი.
ქართველთან ძმადშეფიცული
ოსი შებმია ქარტეხილს.

ასეთი იყო ყოველთვის,
თუ გვეცემოდა მსტოვარი —
„ოსი ფეხმარდი, მთიული
ბრძოლაში შეუპოვარი“.

ასეთი იყო ყოველთვის
ორი ძმა — ოსი, ქართველი. —
ერთად ელავდა წინათაც
იმათი ხმლების ნათელი.

დასაბამიდან ჩვენს ძმობას
მხოლოდ სიმტკიცე ჰქვიანო —
და მიტომ, ჩვენი ერთობა
კლდეებსაც ანგრევს ფრიალოს!

ოსეთში შრომობს ქართველი,
გაბრწყინებულა ვანათი, —
მისი ძმა — ოსი, აქ ბრუნავს,
თავზე მზის შუქი დაჰნათის!

დიდია ჩემი სამშობლო
გმირთა დიდების მმოსავი, —
ჩვენი სიმღერაც დიდია,
და ლაღი სამშობლოსავით!..

ფოტოზე — ზემოთ — მარცხნიდან მარჯვნივ: სტალინირი. საბჭოების სახლი; სტალინის სახელობის მოედანი, წინა პლანზე—კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრი. ქვემოთ—მარცხნიდან მარჯვნივ: ვანათის არხი; მუსიკალურ სკოლაში; სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი — მომღერალ ქალთა გუნდი ასრულებს ოსურ ნაციონალურ სიმღერას.

ფოტო ს. გიორგაძისა

ციალა ღლონტი

ქ. მახარაძის ძაფსაღებ-საგრეხ ფაბრიკაში სამუშაო დღე იწყება აბრეშუმის პარკით შევსებულ აუზს უახლოვდება ციალა ღლონტი. იგი მაშინვე გადადის მეორე აუზთან, მესამესთან, მეოთხესთან... მისი თვითეული ნაბიჯი გაანგარიშებულია, ეტყობა, რომ ციალა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აუზიდან აუზამდე მოძრაობის სწორ მარშრუტს, იგი არ აკეთებს ზედმეტ მოძრაობებს. ერთი შეხედვით, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ მეაბრეშუმე ქალი მექანიკურად ასრულებს უკვე დიდი ხნის გაზეპირებულ სამუშაოს. მაგრამ საკმარისია თვალი ადევნოთ მისი თვალებისა და სახის გამომეტყველებას, ხელების გამიზნულ მოძრაობას და იმ წუთშივე დაასკვნით, რომ ეს ქალი ფიქრობს, მისი გონება დაძაბულია, ხუმრობა ხომ არ არის; იგი ერთდროულად 420 ცალი აბრეშუმის პარკის ამოხვევას ადევნებს თვალყურს. ასეთი მაგალითი ძაფსაღები წარმოების ისტორიაში დღემდე უცნობია.

— ციალა ღლონტი ექვსი 10 თვითწამღებიანი აუზის მომსახურეობაზე გადავიდა! — გავრცელდა ცნობა ქ. მახარაძის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის მუშებს შორის. ეს ცნობა მალე ქუთაისის აბრეშუმის კომბინატშიაც მივიდა, თელავისა და წულუკიძის მეაბრეშუმეებმაც გაიგეს.

ყველგან იწყებენ ციალა ღლონტის ახალი მეთოდის ათვისებას. შეუჩვეველი მუშებისათვის განსაკუთრებით ძნელია ორივე ხელით ერთდროული და შეთანხმებული მოძრაობის შეთავსება. ეს მომენტი კი ძირითადია ციალა ღლონტის ახალშემუშავებულ მეთოდში: აწვდის რა თვითწამღებს მარჯვენა ხელით პარკს, ის ამავე დროს მარცხენა ხელით წმენდს აუზებს ჭუპრისა და გაწყვეტილი პარკისაგან და ათავისუფლებს თვითწამღებს ჭუპრის პერანგამდე ამოხვეული პარკისაგან, რომელიც ხტის და ძაფის წყვეტას იწვევს. ძნელია, აგრეთვე, მხედველობის ზუსტად შეთანხმება ხელის მოძრაობასთან. ეს სიძნელეები კარგად ესმის ც. ღლონტს, თვითონაც ხომ მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა, სანამ სასურველ შედეგს მიაღწევდა.

ც. ღლონტმა 1938 წელს გადადგა პირველი სტახანოვური ნაბიჯი. მაშინ იგი ერთი 10 თვითწამღებიანი აუზის მომსახურებიდან ორ აუზზე გადავიდა. დაიწყო მეაბრეშუმე ქალის შრომითი აღმავლობა. დღეს კი ძაფის ამომღებთან, გამკინძველთან და მხარშველთან ერთად ც. ღლონტი უკვე ექვს აუზს ემსახურება.

ციალა მხოლოდ ახლა ხედავს იმ გზას, რომლითაც უფრო ადვილად და უფრო მალე შეეძლო მიეღწია ამ შედეგისათვის, ამიტომ უნდა, რომ დანარჩენ მუშებს შეუმსუბუქოს ახალი მეთოდის ათვისების სიძნელეები. და აი, მთავრდება თუ არა სამუშაო დღე, ციალა მიეშურება ქ. მახარაძის ძაფსაღებ-საგრეხ ფაბრიკასთან არსებულ სტახანოვურ სკოლაში. იქ იგი მსმენელებს უზიარებს თავისი მუშაობის გამოცდილებას. მუშებიც გულისყურით უსმენენ, ყველას უნდა, რაც შეიძლება მალე აითვისოს ახალი მეთოდი, ყველას უნდა, რომ ექვს აუზს 11-ის ნაცვლად, მხოლოდ ექვსი კაცი ემსახურებოდეს.

ფაბრიკა წერს „ფრიადს“

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ფილოლოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა სტუდენტმა სადიპლომო თემად აირჩია რომელიმე თანამედროვე მწერლის შემოქმედების გარჩევა. აი, ნაშრომით ხელში იგი უკვე წარსდგა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წინაშე. კომისიას კი თავმჯდომარეობს... სწორედ ის მწერალი, რომლის შემოქმედებაზეც უნდა ილაპარაკოს სტუდენტმა. რა დიდი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს მაშინ დიპლომანტმა, რა დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და შრომა დახარჯოს იმისათვის, რომ რაიმე შეცდომა არ დაუშვას.

დაახლოებით ასეთი სურათი იყო, როდესაც თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის დიპლომანტი სტუდენტები გორის საფეიქრო კომბინატს ესტუმრნენ და მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე დაიცვეს თავიანთი სადიპლომო შრომები. იმის გარდა, რომ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ თვით საფეიქრო კომბინატის დირექტორი იყო, დამსწრეთა უმრავლესობას კომბინატის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი წარმოადგენდა, მათი მრავალი წლის პრაქტიკული გამოცდილება კი თავდები იყო თვითეული დიპლომანტის ნაშრომის უაღრესად ზუსტად შეფასებისა. ამ „მკაცრი“ კომისიის წინაშე 7-მა სტუდენტმა მიიღო „ფრიადზე“ შეფასება, 13-მა—„კარგზე“. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ნ. ცაგარელმა, ა. ნასიძემ, ა. კილატოვამ, ვ. მეზვრიშვილმა და ვ. ინაშვილმა. ასეთივე გამოცდა ჩატარდა თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში.

წარმოებებში სადიპლომო შრომების დაცვის ეს ღონისძიება, რომლის ინიციატორია პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი, მეტად სასარგებლო გამოდგა, მას გამოცდილებისა და ცოდნის ურთიერთ გაცვლა-გამოცვლის გარდა მოჰყვა კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი შედეგი: დიპლომების დაცვის შემდეგ ახალგაზრდა ინჟინრებმა საქართველოს საფეიქრო ფაბრიკების ქვეოსტატებად, ცვლისა და საამქროს ოსტატებად დაიწყეს მუშაობა. იმ მუშებს კი, რომლებიც დიპლომების დაცვას ესწრებოდნენ, უმაღლესი ტექნიკური განათლების მიღების სურვილი აღეძრათ და სათანადო განცხადებებით მიმართეს ინსტიტუტს.

ბ. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იან დრდა
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

წითელი თორგიზა

მხატვარი ზ. ლეჟავა

ნოველა*

იან დრდა თანამედროვე სახალხო დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი უველაზე საინტერესო და ნიჭიერი პროზაიკოსია. იან დრდა დაიბადა 1915 წელს მუშის ოჯახში, პატარა პროვინციულ ქალაქ პრშიბრამში. იგი იზრდებოდა უბრალო ადამიანებს შორის, ბავშვობიდანვე იცნობდა მათ ჭირვარამს და იბრძოდა ნათელი, თავისუფალი ცხოვრებისათვის.

იან დრდას მოკლე, მაგრამ მეტყველი ნოველები დიდი სიყვარულით სარგებლობენ საბჭოთა მკითხველებს შორის. რუსულად გამოიცა მისი ნოველების წიგნი, საერთო სათაურით „მუნჯი ბარიკადები", რომელიც დრდამ 1946 წელს გამოაქვეყნა. ეს ერთ-ერთი პირველი წიგნია, რომელიც ასახავს ჩეხოსლოვაკიის ხალხის ბრძოლას ფაშისტ ოკუპანტების წინააღმდეგ. მოთხრობებს საფუძვლად უდევს ფაქტიური მასალა,—დრდა თვითონ იყო ამ ბრძოლისა და, კერძოდ, პრაღის აჯანყების მონაწილე. ჩვენს ჟურნალში, ქართულად პირველად იბეჭდება მისი ნოველა „წითელი თორგიზა", რომელშიც ასახულია სახალხო დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა მოგზაურობა საბჭოთა ქვეყანაში, კერძოდ, საქართველოში. ოცნებად ქცეული, ზღაპრული, მაგრამ ამავე დროს ნამდვილი „წითელი თორგიზა", ჩვენი ქვეყნის ეს ერთ-ერთი კოლმეურნეობა მრავალ ათასთა შორის, თავისი თვალით ნახეს ჩეხოსლოვაკელმა მშრომელებმა და უკან დაბრუნდნენ იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ დიადი საბჭოთა ხალხის მაგალითითა და დახმარებით კიდევ უფრო მეტი მონდომებით აშენონ სოციალიზმი თავის ქვეყანაში. იან დრდა გულწრფელი სიყვარულით ხატავს ამ ნოველაში საბჭოთა საქართველოს კოლმეურნეობის მიმზიდველ ცხოვრებას, მის ადამიანებს.

ჩემს ჭოხში ხუთი ჯარისკაცი იყო. კედლებზე მათი წარწერები აქამდეა შემონახული: გვარდიის ზემდეგი ივანე მიხალჩუკი, გვარდიის უფროსი სერჟანტი სერგეი ბურკოვი და გვარდიელები იბრაგიმ მამედზადე, ბაგრამ გალიაკბეროვი და გიორგი ჭავჭავაძე. იცით რა მშვენივრად გამოვიდა: ხუთი მებრძოლი და ხუთივე სხვადასხვა ეროვნების! სერიოჟა რუსი იყო, ვანია უკრაინელი, იბრაგიმი— აზერბაიჯანელი, ბაგრამ—ყაზახი, გიორგი კი, რომელსაც ამხანაგები გოგის ეძახდნენ, ქართველი გახლდათ. როცა მე, თვრამეტი წლის ბიჭი, ბატონ იმპერატორის გულისთვის სისხლის გასაღებად გამგზავნეს, ავსტრიის არმიაშიც ბევრნაირი ხალხი იყო — ტიროლელები, ჩეხები, მადიარები, ხორვატები, და კიდევ რამდენი, ვინ მოსთვლის. მაგრამ ჩვენ ერთმანეთზე გვაქეზებდნენ და მგლებივით ვიყავით: ჩეხი მადიარს ებრძოდა, ხორვატი ტიროლელს, და კაცი ვერ გაიგებდა, ვინ ვის ურტყამდა, ვინ ვის მტრობდა. ეს ბატონების პოლიტიკა გახლდათ: სჩეხეთ, ულიტეთ, უმტრეთ ერთმანეთს, ღარიბ ლატაკნო, რომ უკეთ ვიბატონოთ თქვენზეო. ეს რომ ჩემ ბიჭებს ვუამბე, გაეცინათ:

— იცი, იოსებ, — მითხრა ვანიამ. — ეს მართალია, რომ ჩვენ აქ, ამ სუფრაზე ხუთ ეროვნებას წარმოვადგენთ, მაგრამ ჩვენ, ყველა ერთად, საბჭოთა ადამიანები ვართ! ჩვენ ხომ მარტო ხუთი ეროვნება არა ვართ, ასზე მეტი ვართ!

ეს რომ თქვა, ჩემს ცხვირწინ მჯედლის ვეება ხელი ამართა და ხუთივე თითი გაჩაჩხა: ეს შუათანა, — ყველაზე დიდი — რუსია, ეს იქვე, გვერდით — უკრაინელია, აქ — ბელორუსია, ეს — ქართველია, ეს — კარელია-ფინელი, და შეგვიძლია ისევ თავიდან მოვყვეთ: ყაზახები, ყირგიზები, ხომხები, აზერბაიჯანელები, ტაჯიკები, თურქმენები; ოცი ხელი რომ მქონდეს, მაშინაც ვერ ჩამოვთვლიდი თითებზე, რამდენი სხვადასხვა ხალხია ჩვენში. მაგრამ ეს, — მოკუმშა მან მუშტად თითები, — ეს, ერთად აღებული, საბჭოთა კავშირია! მტკიცე ხელია, ერთი ეხმარება მეორეს, ყველა თითი ერთად აკეთებს დიდ საერთო საქმეს...

მაგრამ, როცა ფაშისტებმა, როგორც იტყვიან ხოლმე, თავისი ღორის დინგი შემოჩარეს ჩვენს საბჭოთა ბოსტანში, მაშინ ასე... ბუმ!—და ვანიამ მუშტი ისე მაგრად დაჭკრა, რომ მაგიდამ ზანზარი დაიწყო.

გამოგიტყდებით: მანამდე არასოდეს განმიცდია იმაზე დიდი ბედნიერება, როგორსაც ახლა განვიცდი. როცა ისინი — ხუთივე ერთად შეიკრიბებოდნენ, და მათთან ერთად მე და ჩემი ანდულკა დავსხდებოდით, ასე მეგონა ხუთივე ჩემი ვაჟი იყო, ერთიმეორეზე უკეთესები, ჯანღონით ხავსენი, ჭკვიანები, დიდი პატრიოტები. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისინი საოჯახო საქმეებზე ხელს არ გვაკარებინებდნენ. ბაგრამი, რომელიც თავის სამშობლოში კოლმეურნეობის პირუტყვს უვლიდა, თითქმის მთელ დროს ჩვენს პლავკასა და ელენესთან ატარებდა, — მათ ბოსელში ახლა ისეთი სისუფთავე იყო, როგორც საქორწილოდ გამართულ სეფაში; კვებავდა მათ, უცვლიდა იატაკის საფენს, დადიოდა ბალახისა და შამბნარის მოსატანად, თან არ იშორებდა ერთმეტრიან ტილოს ნაჭერს: უზომავდა და წიგნაკში იწერდა ძროხის ხერხემლის სიგრძეს, ფაშვისა და ჯიქნის მოცულობას, ფეხების სიმაღლეს, უთვლიდა კბილებს, მთელი საათობით უწმენდდა ფლოქვებს, ფანქრით ხელში თვალყურს ადევნებდა დღის ნაწვეს და, როცა შესაძლებლობა მიეცემოდა, გარეთ გამოყავდა ძროხები მზეზე, ჰაერზე, ხაბალახოდ. ჩვენში ასე არ უვლიდნენ პირუტყვს: თუ ძროხა მინდვრად არ იყო სამუშაოდ მთელი დღე ჩაკეტილი გვყავდა ბოსელში.

„ცუდია, ცუდი! — თავს აქნევდა ბაგრამი. — კარგი პირუტყვი გყავთ და ცუდად უვლით! ამუშავებთ, ჩალას აძლევთ, ჰაერზე არ უშვებთ, ამიტომ რძეს ცოტას იძლევა. შენ რომ ჩემი ნიშა ძროხები გაჩვენა, გაოცდებოდი!"

ვანიამ, რომელიც თავის კოლმეურნეობაში, მჯედელი იყო, უველაფერი შემიკეთა, რაც კი ხისა და რკინის მქონდა. შემომიჭედა ფორანი, კიბეს საფეხურები დაუცვალა, დაშალა ჩალის საჭრელი, გაასუფთავა, გაზეთა, გაუკეთა წიფლის ორი ახალი კაუჭი, გააშალაშინა და შუშის ნატეხით ისე გაასუფთავა, რომ ხე ქალწულის ხელისგულივით გლუვი და ნაზი გახდა.

სერიოჟა შორი მხრიდან იყო — ნოვოსიბირსკიდან, ფოლადისმდნობელი. შავ სამუშაოს ჩვეული არ იყო, მაგრამ ყოველგვარი მუშაობა უყვარდა: ანდულკას იგი, გვარდიის სერჟანტი, კარტოფილს უფცქვნიდა, ცეცხლს უნთებდა, თევზის წვენს ამზადებდა, დანებს, ნამგლებსა და ცელებს პირავდა. გიმნასტიორაზე, გარდა გვარდიული ნიშნისა, სამი მედალი ჰქონდა— სტალინგრადის, სევასტოპოლისა და კიევისთვის, იგი ნამდვილი მებრძოლი იყო, — ლომიაო, ამბობდნენ მასზე. ამავე დროს მშვიდობიან შრომას ისეთივე სიყვარულით უყურებდა, როგორც ვანია, როგორც იბრაგიმი, და ყველა დანარჩენი.

იბრაგიმი, შეხაბზე იყო,—ბამბა! ბამბა!—მიამბობდა იგი ხშირად, და ხელით მაჩვენებდა, თუ როგორ ნელა იზრდება ის, თუ როგორ უნდა მიწის შემოყრა, მორწყვა, მოკრეფა, კურკის გამოცლა, გაჩეჩვა, თესლის მოგროვება. ასე მგონია, იგი ღამითაც ბამბაზე ფიქრობდა, [იმდენად უყვარდა თავისი საქმე. ამასთანავე, კარგად ერკვეოდა საერთოდ სოფლის მეურნეობის საკითხებში. ქსოვილის ნაჭრისგან პატარა პარკები შეკერა და მათში ინახავდა ჩვენს საშემოდგომო და საგაზაფხულო ჭვავს, ხორბალს, ქერს, შვრიას, ცერცვს, უგრეხელს. დერეფანში თაროზე შემორჩენილიყო შვიდიოდე ვაშლი, ჰიბრიდები ჩვენი ძველი ბაღიდან, დედაბრებივით დამჭკნარიყვნენ

*) იბეჭდება მცირედი შემოკლებით.

და გამომშრალიყვნენ. უნდა გენახათ იბრაგიმი, ეს ვაშლები რომ შემოიტანა ოთახში ანდულკამ. სიხარულისგან კინალამ გადაირია, როცა ვუთხარი, რომ ეს ჩვენი ჩეხური ვაშლის ჯიშია, რომ ის ახლა იშვიათია ჩვენს ბაღებში. შვიდივე ვაშლი დასჭრა ფრთხილად, ამოკრიფა კურკები, ჩაყარა პარკში, ამოკერა და ფანქრით დააწერა: „ჩეხური ჰიბრიდი“.

ახლა მეხუთე ვაუკაცს არ ეკითხავთ, გიორგი, გოგი რომ ერქვა? გოგის ყველაფერი ემარჯვებოდა, იგი ყველაფრის ოსტატი იყო: ტრაქტორისტი, მჭედელი, მეჩექმე, მზარეული, მეთევზე, მონადირე, მეგარმონე, მოცეკვავე... გოგი ყველა ჩვენგანისთვის იმთავითვე საყვარელ ადამიანად, ჩვენ საერთო სიხარულად იქცა. აღლებდა გარმონს, დაამღერებდა, იცეკვებდა. უკრავდა და თან ცეკვავდა, მისი ფეხები დაჭიმული სიმებივით ირხეოდნენ, ცეკვავდა და ქარივით დაჭქროდა გარმონით ხელში, სახეზე ალმური ასდიოდა, თვალები ენთებოდა. თკალს ვერ მოაშორებდი მის სილამაზეს. მერე, იცით, რა მსროლელი იყო? ერთხელ, საღამოთი, გუბურა პლაჩკასთან ვზივართ. ტყისპირიდან უეცრად გარეული ხვნები ამოფრინდნენ, სოლივით მოემართებოდნენ, ცალი მხარე ჩვენსკენ ჭქონდათ მოქცეული. გოგი ხვნებს მიაჩერდა, აღლო ხელში შაშხანა და... ტრახ!.. სოლის თავს ერთი ხვნი მოწყდა და ქვასავით წამოვიდა ქვევით. დაიჩხაკუნა ჩახმახმა, კვლავ გაისმა სროლის ხმა და ჩამოვარდა მეორე! ორჯერ ერთიმეორეზე ტყვიის მოხვედრა გაფრენილი ფრინველისათვის მხოლოდ კარგ მსროლელს შეუძლია. რა თვალი უნდა ჰქონოდა ამ ვაუკაცს და რა მაგარი მკლავი! ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება გუბურა პლაჩკასთან გატარებული საღამო. იმ ხვნებზე კი აღარ მოგახსენებთ! არა. სულ სხვა რამე მაქვს სათქმელი. იქ ერთხელ, საღამოთი, გუბურას ნაპირზე პირველად გავიგონე გოგისგან: წითელი თორტიზა. მდელოზე ბინდი წვებოდა, ივნისის ვარსკვლავები ერთიმეორეზე ენთებოდნენ ცაში, გზისპირას ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ, წყალში ჩამდგარ ლერწმებში ბაყაყებმა ყიყინი წამოიწყეს. პირველად მეგონა, რომ ეს სახელი მის სატრფოს ერქვა, მეგონა ზაფხულის ამ საამურმა საღამომ მოაჯადოვა და ტკბილი მოგონებანი გაუღვიძა-მეთქი.

„წითელი თორტიზა“ — ახლა ის ჩემ თვალწინ დგას!

მხოლოდ რამდენიმე სიტყვის შემდეგ მივხვდი, რომ გოგი თავის სოფელზე ლაპარაკობდა, რომ წითელი თორტიზა—ეს მისი მშობლიური კოლმეურნეობა იყო საქართველოში.

რუდა თორტიზა, ვიტყუოდით ჩვენებურად.

გოგი ლაპარაკობდა ოქროსფერ ხორბლის საკოლმეურნეო მინდვრებზე, რომლებზეც კომბაინები იღებდნენ მოსავალს, ლაპარაკობდა ქალთა ბრიგადების მიერ დამყნილი ახალი ვაზების შესახებ, ტრაქტორების ღამით მუშაობაზე, სიმინდის უზარმაზარ მოსავალზე, რისთვისაც კოლმეურნეობამ გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა, ლაპარაკობდა თავის დაზე, სოფლის სკოლის მასწავლებელ ქალზე — თამარზე. მისი გული მოგონებებით აღივსო. ალბათ, ნაღველი შემოაწვა-მეთქი, გავიფიქრე და მკლავში ხელი მოვკიდე.

„შენ ხომ უკვე მალე დაბრუნდები შინ! მაგარს მიუსწრებ კიდევაც“.

გოგის გაეღიმა, ხელზე ხელი მომიჭირა და მითხრა:

„არა, ოსებს ოსების-ძევ... ეს ნაღველი არ არის. სხვა რამ მაწუხებს. მე ის მაფიქრებს, თუ როგორ უნდა გარდაიქმნას ცხოვრება, რომ თქვენც კარგად იცხოვროთ ისეთ მშვენიერ ქვეყანაში, როგორიც ჩეხოსლოვაკია არის. ახლა თავისუფლება გაქვთ, ხალხმა თავისუფლება თავის ხელში აიღო. შენ თვითონ ხარ ახლა ხელისუფლების წარმომადგენელი ვიშნეკაიაში. გარდაქმენით ცხოვრება, აღზარდეთ ადამიანები, თორემ ყველაფერი ეს... ამდენი ადამიანის სიცოცხლე, ამდენი სისხლი, ნგრევა და ხანძრები... ყველაფერი ეს სულ ტყუილუბრალოდ ჩაივლის.

ცეცხლი მომედო, თითქოს თვალებში შუქი ჩამიდგა. არა, არასოდეს ამაზე მე არ მიფიქრია. ჩემთვის ვფიქრობდი ხოლმე: გვაქვს თავისუფლება, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგზეა. წინათ ცუდად ვცხოვრობდით... ეს მე ჩემს თავზე გამოვცადე... მაგრამ როგორ ვიცხოვრებთ ამიერიდან? ერთი წლის, ორი, ხუთი წლის შემდეგ. რას იზამს პალიეეცი, რა გზას დაადგება კალივოდა, გრუბი, პრაშეკი, რომლებიც საუკუნეების მანძილზე თავი კაცები იყვნენ სოფელში. თუ ვისმეს ხელს გაუმართავდნენ, ვაი იმის დღეს — ერთი ათად ამოიღებდნენ, სიკვდილს გაართმევდნენ ხაწყალ გლეხს. მართალია, აგრარნიკები, რომლებმაც რესპუბლიკა მიუიდეს ჰიტლერს, როგორც პარტია, აღარ არსებობენ, მაგრამ სოფლის ბობოლები წინანდებურად ხომ ისევ ჩვენს კისერზე იქნებიან. კიდევ მეტი: ომის დროს სამხედრო სპეკულაციით ზორბად მოითბეს ხელი, ახალი მანქანები შეიძინეს, შეუდგნენ ბოსლებისა და საღორეების გაფართოებას. ჩვენ კი რა გვაქვს? რით მოვხნავ ხაშემოდგომო მიწას, როცა ბლავკა ხბოს მოიგებს? მივადგები კალივოდას, და შევეევედრები: მათხოვეთ ბირუტყვი, გეთაყვა. გადაგიხდით არაადამიანური შრომით. ანდულკას შინამოსამსახურედ გაახლებთ! ყველაფერი ეს რომ გავიფიქრე, ერთბაშად სისხლი ამივარდა თავში.

„მიამბე, გოგი, მიამბე წითელი თორტიზას შესახებ! რას აკეთებთ იქ, როგორ მუშაობთ!“

დიდხანს ვისხედით გუბურას ბირას. შუაღამე გადავიდა, დადუმდნენ ჭრიჭინები და ბაყაყები, მხოლოდ გუგულის „გუგუ“-ღა ისმოდა. ჩემს თვალწინ ზღაპრული სიზმარივით იშლება წითელი თორტიზა, როგორც ცხრა მთას იქითა ქვეყანა... ზღაპრული, მაგრამ მაინც ნამდვილი, ცოცხალი, ამ შავგრუზამთიანი მეომარივით, რომელსაც იქ თავისი კერა აქვს. წითელი თორტიზა... წითელი თორტიზა... მთელ ღამეს მასზე ვფიქრობდი. გოგის სიტყვებმა სიცოცხლის ცეცხლი დაანთეს ჩემს გულში, ამ ცეცხლს ვერაფერი ვეღარ ჩააქრობს.

გოგი უკვე დიდი ხანია თავის მშობლიურ სახლშია და, ალბათ, თორტიზას წითელ ღვინოს შეექცევა. იბრაგიმი ალბათ, თავის თეთრად გადაპენტილ ბაბას უზის, ბაგრამი თავს ეკვლება თავის საყვარელ ნიშა ძროხის ხბოებს, ვანია თვლებს უკეთებს თავისი კოლმეურნეობის ფორნებს, სერიოჟა კი შორეულ ციმბირში ფოლადს ადნობს... მშვიდობა ჩამოვარდა ქვეყნად, როცა მაშინ, ნოემბერში, ჩვენი ვიშნევაიადან საბჭოთა არმია მიდიოდა, ჩვენს ბიჭებს გამოვემშვიდობე და სათითაოდ გადავკოცნე:

„ნახვამდის, ნახვამდის!“ — მეუბნებოდნენ ისინი, მე კი მეგონა გული ესესაა გამისკდებოდა. გოგი ყველაზე ბოლოს გამომემშვიდობა. მომეხვია, ჩამიკრა გულში და მითხრა:

„არა უშავს, ოსებ, ერთმანეთს წითელ თორტიზაში შევხვდებით! — მიუჯდა ხაჭეს, მიირახუნა კარი და, დაიძრა თუ არა მანქანა, მისი გრუზათმიანი თავიც მიიმალა. გოგის ველარ ვხედავდი. მას ან მანქანის მინა ფარავდა, ან შეიძლება თვალზე მომდგარი ცრემლები მიშლიდა მის დანახვას.

მაგრამ თესლი მათ შემდეგაც დარჩა — ძვირფასი თესლი, ადამიანთა გულში დათესილი. ღვივდება და იზრდება ეს თესლი. არ იცი, როდის აღმოცენდება უეცრად კვირტი და ნორჩ ფოთლად იქცევა.

რა იყო შემდგომ, თქვენ თვითონ იცით: ახლა ყველა ერთად ვცხოვრობთ, ძმურად. ზოგჯერ ამდენი ამბებისაგან თავბრუ გვეხხმის, მაგრამ ჩვენი შვილიშვილები შემოგვნატრებენ, როცა გაიგებენ, თუ რა დროში ვცხოვრობდით. მე ძალიან მიყვარს პალაცკის ისტორიის კითხვა: უფრო მეტად ყიყეკეს შესახებ, იან გუსის დროის ამბები, იმ დროის ამბები, როცა ჩვენს წინაშე ცახცახებდნენ ბატონები მთელ მსოფლიოში, სიამოვნებით ვკითხულობ აგრეთვე მეფე იურეკოვის ისტორიას. მაგრამ რა შეედრებოდა იმ ისტორიას, ახლა რომ ვინმე ახალი პალაცკი დაგვიწერდეს ჩვენი კლიმენტი გოტვალდის შესახებ, იმაზე, თუ როგორ შესძლო მან იან გუსის მსგავსად ბატონების კისრის მოგრეხა და თავისი მიწა-წყლის მოვლა-პატრონობა. არაფერი არ მინდა, ერთი ასი წლის შემდეგ წამომაყენა ფეხზე, თუნდაც ერთი კვირით, წამომაყენა საფლავიდან, რომ გადავხედო ჩვენს მშვენიერ ჩეხურ მიწა-წყალს და ვიგრძნო ჩემი თავი იმ ისტორიის ფურცლად, რომელიც ჩვენს დროებათა შესახებ დაიწერება მომავალ თაობათათვის.

ორმოცდაცხრა წლის ზაფხულში, როცა მე გადავბარე ადგილობრივი სახალხო არჩევნების თავმჯდომარეობა ტონიკ კონიჩკას და ვიკისრე ზრუნვა ჩვენს გაერთიანებულ სამიწათმოქმედო კოოპერატივზე, მოულოდნელად ჩემთან ჩამოვიდა ამხანაგი ოლქიდან: „გამიგონე, ვეტროვეც, რას იტყოდი საბჭოთა კავშირში რომ გაგამგზავროთ... დიდი ხნით არა, ასე სამი, ოთხი კვირით... ცოტა თვალი რომ გადაავლო საბჭოთა ცხოვრებას... ჩვენმა ოლქმა ერთი დელეგატი უნდა გაგზავნოს“...

ყელი ისე გამიშრა, რომ ენის მობრუნებაც ვერ მოვახერხე.

ეს სიმართლესაც არ გავდა, რომ ჩვენი ქვეყნის ამდენ ასეულ ათას კაცში, რომლებიც თავისი სიცოცხლის ნაწილს გასწირავდნენ, ოღონდ საბჭოთა კავშირის მიწა-წყალზე ფეხი დაედგამ, არჩევანი ჩემზე შეაჩერეს.

მაგრამ ეს სიმართლე იყო: მე შემიყვანეს სამიწათმოქმედო დელეგაციის წევრად, ვნახე საკუთარი თვალით ახალი სამყარო, ის სამყარო სადაც ადამიანი ადამიანს აღარ ყვლეფს, ვნახე სახელოვანი მოსკოვი, კრემლშიც ვიყავი, მავზოლეუმში ვიდექი ლენინის კუბოს წინაშე, დავხედე მის წმინდა სახეს... და ვიყავი იქ, სადაც მთელი მსოფლიოს საბედნიეროდ დაიბადა ამხანაგი სტალინი.

ეს საქართველოა... გადმოცემაც არ შემიძლია, თუ როგორი ლამაზია ეს ქვეყანა. როცა იქითკენ მივფრინავდით, მზიანი, ნათელი დღე იდგა, თითქოს ცა ლილაში იყო ამოვლებული. მე მარცხენა ფანჯარასთან ვიჯექი, ახლა რომ ყველაფერს ხელისგულივით ვხედავდი. უეცრად ქვევით დავინახე უზარმაზარი თეთრი ბაბთი, იმის იქით ნათელი ცისფერი მდელო, თითქოს სულ ერთთავად თაგვისყურათი გადაჭრელებული.

„ზღვა, ზღვა!—შევხძახე ამხანაგებს, და ყველა ჩემთან მოგროვდა. მხოლოდ მარტო კადლეცი, რომელიც ჩემს პირდაპირ იჯდა მარჯვნივ, ადგილიდან არ დაძრულა. იგი იხედებოდა თავის ფანჯარაში და მინაზე სახე ჰქონდა მიბჯენილი. უცბად ისიც წამოხტა და გიყვითი დაიყვირა:



როცა ჩვენი ვიშნევაიადან საბჭოთა არმია მიდიოდა,
ჩვენს ბიჭებს გამოვემშვიდობე...

როცა იქითკენ მივფრინავდით, მზიანი, ნათელი დღე იდგა...

— „მთები, მთები!“

ჩვენს ქვეშ, მარჯვნივ, ყალყზე ამდგარა კავკასიის ხაშინელი კბილებდაკრეჭილი ქედები, მაღალი, ცამდე აწვდილი, ისეთი უზარმაზარი, რომ ვერაფრისთვის შემიდარებია. მათ მწვერვალზე მზისგან ბზინავს და ქათქათებს მარადიული თოვლი, რომელსაც ვერავითარი მზე ვერ დაიმორჩილებს. ის თითქოს იწვის თეთრი ალით, რომელიღაც ზღაპრული განძივით. ჩვენ ქვემოთ მშვიდობა და სიწყნარეა, მხოლოდ ზღვის მკრთალ ცისფერ ზედაპირზე მოჩანან პატარა ნავები, რომელთაც უკან ბამბის თეთრი ქულები ასდევნებიან... ვერ დაიჯერებ, რომ ეს კვამლია... შორს კი, ჩვენს ქვემოთ, სანაპიროზე პატარა ფრინველები დაფრინავენ: შეხედეთ — იქ, ქვემოთ, მერცხლებია!

„მერცხლები! ზღვის არწივები!“ — გვეუბნება ჩვენი მხლებელი, და მას სიხარულით ენთება თვალები, რომ ჩვენ ასე გაგვაოცა საქართველოს სილამაზემ.

მაგრამ ყველაზე ძლიერად მაშინ ამიძგერდა გული, როცა ფეხი შევდგით იმ პატარა ხახლის ზღურბლზე, სადაც თავის დროზე სინათლე დაინახა სტალინმა. გორი... ყველაფერი ვაშლებისა და ვენახების სიმწვანეშია ჩაფლული. გორს ზემოდან რუხი, კირქვიან მთასავით უძველესი მრავალკოშკიანი ქალაქი დაჰყურებს, რომელიც ათას ხუთასზე მეტ წელიწადს ითვლის. ამ უძველესი ქალაქის მახლობლად გამოუწვავი აგურისგან ნაგები ძველი პატარა სახლი დგას, რომელიც სულ ორი ოთახისაგან შედგება. სახლს შუაში პატარა კიბე აქვს დატანებული, ქვეშ — მომცრო სარდაფია. დიდ ოთახში ხახლის პატრონი ცხოვრობდა, პატარაში კი,—მარცხენა მხარეს,— ახალგაზრდა მეჩექმე ბესარიონ ჯუღაშვილი თავისი ჭკვიანი და ლამაზი ცოლით ეკატერინეთი, ანდა, როგორც შინაურობაში ეძახდნენ, კეკეთი.

როცა კეკე ოცდასამი წლისა იყო, მას ვაჟი შეეძინა, რომელსაც მოფერებით სოსო შეარქვა.

მე გული ამიჩუყდა, როცა დავინახე, როგორ ნაზად უსვამდნენ თავის დაკოურებულ ხელებს კარების დარაბებს ჩვენი ჩეხი. სოფელი დედები. მათ თვალი ვერ მოეშორებინათ შეუღებავი მაგიდის ფიცრებისათვის. რამდენჯერ გადმოუდგამს ფეხი ამ სახლის ზღურბლზე, რამდენი ლუკმა პური მადიანად უჭამია ამ მაგიდაზე პატარა სოსოს. ყველამ თაყვანი ვეცით იმ ღარიბ ადგილს, საიდანაც ჩვენთვის მზე ამოვიდა.

ასე, ნახევარი დღე დავდიოდით ჩვენ, ბედნიერებითა და სიხარულით აღსავსენი, ყველა იმ ადგილებში, სადაც ხამოცდაათი წლის წინათ იზრდებოდა ამხანაგი სტალინი. ჩვენ გვეჩვენებოდა, თითქოს იგიც ჩვენთან ერთად იყო, სულ ახლო. ქალებს თვალები ანთებული ჰქონდათ, ხან აქ, ხან იქ ზოგიერთი მათგანი მოწყვეტდა პატარა ყვავილს თავისი ბავშვებისათვის სამახსოვროდ. ქალების დაუსრულებელი ტიკტიკის ნაცვლად, ახლა მათი ჩურჩულიღა ისმოდა და ყოველ წუთში რომელიმე მათგანი ამოიხვნეშებდა: „აქ რომ იყოს ახლა მამა... აქ რომ იყვნენ ახლა ჩემი ბავშვები...“

როცა თბილისში ვბრუნდებოდით, გულში ზეიმმა დაისადგურა. ქალებმა ბედნიერებისა და სიხარულისაგან სიმღერა წამოიწყეს, მამაკაცებმა მახლაათი გააბეს: თვითეული მათგანი ერთმანეთს უამბობდა, თუ რა ნახეს იქ, გორში. მე ვერც წარმოვიდგენდი, რომ იმ დღეს, ამდენი სიხარულის შემდეგ, კიდევ ერთი ბედნიერება მელოდებოდა. ავტობუსით მოვდიოდით აგერ მთელი საათი იქნებოდა, რომ უეცრად საბარგო ავტომობილი წამოგვეწია და გასწრებას ლამობდა. ხომ მოგეხსენებათ შოფრების ამბავი: ის-ის იყო საბარგო მანქანამ გადაგვიხწრო, ჩვენმა შოფერმა ერთი მაგრად შეუკურთხა, დააჭირა კბილი კბილს, მიუშვა მანქანა და, გიყვარდეს... რამდენიმე წუთში დავეწიეთ საბარგო მანქანას, რომელმაც გზაზე მტვრის კორიანტელი აგვიყენა. მერე ყველაფერი ისევ შებრუნებით განმეორდა: საბარგო მანქანის შოფერი ახლა თავის მხრივ ცდილობდა ავტობუსისთვის გაესწრო. ფანჯარასთან ვიჯექი, შოფრის უკან, და უნებლიეთ მომინდა შემეხედა იმ ჯიუტი ადამიანისთვის, რომელსაც რატომღაც გადაეწყვიტა, რომ ჩვენ მის უკან უნდა გვევლო, მისი მანქანით აკენებულ მტვრის ბუღში.

და აი, მინის იქით მომეჩვენა შავგრუზათმიანი თავი, რომელმაც ამ ოთხი წლის წინათ ცრემლით აავსო ჩემი თვალები.

მომეჩვენა-მეთქი, გავიფიქრე, ალბათ, სიცხისგან თუ მომდის... მაგრამ, არა! ეს გოგი არის ნამდვილად. ცოცხალი, ნამდვილი გოგი!

წამოვხტი სკამიდან, მაგრამ საბარგო მანქანამ ჩაგვიქროლა და კვლავ გაგვისწრო; მე ხელებს ვაქნევდი და მინას ვუბრახუნებდი, მაგრამ ამათდ გული ისე ამიძგერდა, რომ ყელში მომებჯინა. ჩავაფრინდი ჩვენს შოფერს და დავუწყე მუდარა დამტვრეული რუსულით: ვეხვეწები, ჩქარა წავიდეს, რომ საბარგოს დაეწიოს, და რაც უნდა დაუჯდეს, გაუსწროს მას. ეხეთი მომენტი იყო, გოგისთან შეხვედრა შეიძლებოდა. ვინ იცის, იქნებ მეტად ჩემს სიცოცხლეში ვეღარც ვნახავდი მას, და ეს სიკვდილამდე სანანებლად დამრჩებოდა.

ჩემდა საბედნიეროდ, ჩვენი შოფერიც ყოჩაღი აღმოჩნდა: გამიღიმა და ამით მიმახვედრა, რომ ესმის ჩემი თხოვნა. დაიხარა საჭეზე, როგორც ფოცხვერი ნახტომის წინ, მოუმატა სიჩქარეს და რამდენიმე წუთში ისარივით ჩავუქროლეთ საბარგოს! თავი ფანჯარაში გავყავი, ხელებს ვიქნევ და გავიძახი: გოგი, გოგი!

ორივე მანქანა გაჩერდა. გადმოვედი. გადავეხვიეთ და ძმებივით გადავკოცნეთ ერთმანეთი. ვუცქერით ერთიმეორეს თვალებში, ვერ მოვციალებივართ ერთმანეთს. მე გული ამიჩუყდა, თვალები დამენამა და ავახამხამე. გოგი იცინის თავისი შავი ეშმაკური თვალებით:

„არაფერია, იოსებ იოსების-ძევ! მე ხომ გითხარი, წითელ თორტიზაში შევხვდებით-მეთქი ერთმანეთს!“

ჩვენებს თვალები გადმოეკაკლათ გაოცებისაგან. გოგომ ხელი ჩამავლო წელში და წიწილასავით მიმათრევს თავისი საბარგო მანქანისკენ. მე პატარა ბავშვივით ვიყავი იმ მომენტში, დამავიწყდა ჩვენი პროგრამა, ყველაფერი დამავიწყდა, წითელი თორტიზის გარდა არაფერი მახსოვდა. მაგრამ ჩვენი მხლებელი უბრალო ზანტი კრუხი როდი გახლდათ. მე თქვენ გეტყვით, ასეთი გაწიწმატებული დავა ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე. გოგი უმტკიცებდა ჩვენს ამხანაგ მხლებელს, რომ წითელი თორტიზა ულამაზესი ადგილია მთელს კავკასიაში, რომელიც ჩეხოსლოვაკებმა, ქვეყანა რომ დაიქცეს, მაინც უნდა ნახონ. მერე, როცა უკვე გოგი მართალი აღმოჩნდა და გადაწყდა, რომ ჩვენ წითელ თორტიზაში ერთი ორი საათით შევივლით, გოგი მაინც არ გვენდობოდა, და მზად იყო ჩვენი ავტობუსი თავისი საბარგო მანქანისთვის რკინის ჯაჭვით გამოება, რომ გზიდან არსად გადაგვეხვია...

და აი, ჩვენ გადავლახეთ პატარა ფონი მდინარეზე, სადაც წვრილ-წვრილი თევზები მომწვანო წყალში პატარა ვერცხლის ხმლებივით ბრწყინავდნენ, მერე გავედით გზაზე, რომელიც ვენახებში მიიმართებოდა პირდაპირ მთების თოვლიან მწვერვალებისკენ, და უეცრად ამწვანებულ ხეებში თეთრი სოფელი აციმციმდა: გაისმა გოჭების ჭყვირილი, ბატების ყიყინი...

ჩემო თორტიზა, ჩემო ლამაზო, სიზმრად ნახულო თორტიზა! აი ახლა ხომ ჩემს თვალწინ ხარ!

მუხლები ცოტა არ იყოს ამიკანკალდა, როცა მწვანეზე გადმოვედი მანქანიდან: შიშნარევი სიხარული დამეუფლა—ვინ იცის, როგორ დაგვხვდებიან აქ? ჩვენ ხომ მოულოდნელად შემოვიჭერით სოფელში მუშაობის დროს, განა იშოვნიან ჩვენთვის დროს?

მაგრამ ვერც კი მოვასწარი ამის გაფიქრება, გოგის მამა გადამეხვია და მკოცნის ხან აქეთა ლოყაზე, ხან იქითაზე. ეს ირაკლი ჭავჭავაძეა: იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახლავთ. მეგონა ნეკნები ჩამემტვრეოდა მის ხვევნა-კოცნაში. „მე ხომ თქვენ გიცნობთ, იოსებ იოსების-ძევ! დიდი ხანია

(გაგრძელება იხ. მე-11 გვ.)



გადავეხვიეთ და ძმებივით გადავკოცნეთ ერთმანეთი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზმინდა (1010—1014 წლები)

წულრულაშენი (XIII საუკ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზემოთ — ცეკვა „ქართულს“ ასრულებენ სტალინის პრემიის ლაურეატები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი.

ქვემოთ — ანსამბლი ასრულებს „ფერხულს“.

ნინო რამიშვილი ასრულებს „აღმოსავლურ ცეკვას“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ცეკვის ანსამბლი

ეს იყო 1944 წლის 8 აგვისტოს. კონსერვატორიის დიდ დარბაზში თავი მოეყარა მრავალ ახალგაზრდას, რომელთაც სურდათ მოხვედრილიყვნენ ქართული ცეკვის ანსამბლში.

კონკურსში მონაწილეთა შორის გოგონები სჭარბობდნენ. ვაჟები ცოტანი იყვნენ. ეს გასაგებიც იყო, რადგან ჩვენი ჭაბუკები სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდნენ. ანსამბლში მისაღებ კონკურსს უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობა გამოეხმაურა.

ორი დღის განმავლობაში ორასამდე ქალვაჟმა ჩაიარა ანსამბლის მომავალი ხელმძღვანელების ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის წინაშე. საბოლოოდ ორმოცდაათი მოცეკვავე გადაირჩა და, ამგვარად, ქართული ხალხური ცეკვის პირველი ანსამბლის ბირთვი შედგა.

არ შეიძლება ითქვას, რომ, მცირედის გამონაკლისით, ახლად მიღებულებმა ცეკვა იცოდნენ.

— მუსიკალური სმენა, რიტმის გრძნობა და ლაზათი გააჩნდეთ და დანარჩენს მუშაობაში შეიძენენო, — გულს იმშვიდებდა ი. სუხიშვილი, როცა ზოგიერთი მისი არჩეული მოუქნელად შლიდა ხელებს, მოწყვეტილად, წელგაშეშებული უსვამდა ფეხებს.

კოლექტივი ყოველდღიურად ვაჟკაცდებოდა და მაყურებელთან შესახვედრად ემზადებოდა.

ანსამბლმა თავისი პირველი კონცერტი ხოხუმში გამართა. დარბაზი სავსე იყო ხოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანებით. საღამოს ესწრებოდნენ უცხოელებიც. ყველა აღფრთოვანებული იყო უჩვეულო სანახაობით. ეს იყო პირველი გამარჯვება. შემდეგ დაიწყო ანსამბლის ტრიუმფალური მოგზაურობა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში.

სად არ იყო ანსამბლი: რუსეთში, უზბეკეთსა და უკრაინაში, ტაჯიკეთსა და ესტონეთში, ლიტვასა და ლატვიაში. ასევე ტრიუმფალურად მოიარეს ქართველმა მოცეკვავეებმა უცხოეთიც: ფინეთი და დანია, გერმანია და ბოლგარეთი, უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია.

— ქართველებმა მგზნებარე ცეკვით დაიპყრეს ჰელსინკი — წერდნენ ფინური ბურჟუაზიული გაზეთები.

— ქართველმა მოცეკვავეებმა დაარღვიეს მეფის თეატრის ტრადიცია. ისე მოაწონეს თავი მაყურებელს, რომ ადმინისტრაციამ, პირველად ამ თეატრის ისტორიაში, ორჯერ გახსნა ფარდა!...

წერდნენ დანიის გაზეთები.

დააკვირდით ქართულ დარბაისლურ „დავლურს“:

ცეკვავენ ბედნიერი ქალვაჟნი, მაგრამ განა მარტო ცეკვავენ? ერთი-მეორესაც ზომავენ, ერთიმეორის გულის ცემას ისმენენ, გულისთქმას კითხულობენ.

რომელ ერთს გაუსწორებთ თვალს ქართულ ცეკვაში: რიტმიულ ფერხულს, რხევით რომ ჩამოუვლიან ხოლმე გუნდ-გუნდად დაწყობილი ქალვაჟნი, ყელმოღერებულ მოფარიკავეების ცეკვას, ტანწერწეტა გოლიათებს, რომლებიც ორ ცერს ისე ურტყამენ დედამიწას, როგორც როიალის კლავიშებს ათ თითს ვირტუოზი პიანისტი!.. განა მთიულურის ცქერა დაგავიწყებთ „გან და განს“, ან იქნებ მეომრული „ხორუმი“ ჯობს ზარზმის ფრესკებიდან გადმოღებულ ჰაეროვან „სამაიას“!

ანსამბლმა ახალი პროგრამაც უჩვენა. პირველად ქართული ქორეოგრაფიის ისტორიაში ი. სუხიშვილმა და ნ. რამიშვილმა ცადეს ცეკვის ენით გადმოეცათ ჩვენი ხალხის ბრძოლა სამამულო ომის დღეებში. მათ ქართული საცეკვავო ფოლკლორი მოხერხებულად გამოიყენეს ახალი აზრის გადმოსაცემად.

საბჭოთა მაყურებელი ყოველთვის აღტაცებული ხვდება ანსამბლს და მის ნიჭიერ კოლექტივს. ანსამბლის კარგ ორგანიზებულობაში მაყურებელი მომავალ შემოქმედებით გამარჯვების საწინდარს ხედავს.

ოთარ ეგაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბოლნისის სიონი (478—493 წლები)

მცხეთის ჯვარი (586/7—604 წლები)

გიცნობთ. გოგომ ყველაფერი მიამბო თქვენს შესახებ... მადლობელი ვარ, მადლობელი, რომ ჩემს შვილს კარგად ეპყრობოდით“. მინდოდა მეთქვა, რომ ეს ჩვენ ვართ მისი მადლობელი, რომ ასეთი გმირი შვილი გამოგვიგზავნა, მადლობელი მისი და ასევე მთელი საბჭოთა ხალხის, მათი ძმური დახმარებისათვის. მაგრამ ენას ვერ ვაბრუნებ, ძლივს გავახერხე მეთქვა: „კარგი“, „გმადლობთ“, ისე უსიტყვოდ, რაღაცის ლუღლუღით მოვეხვიეთ ერთმანეთს, ცოტა ცრემლიც მოგვადგა თვალზე; ახე მეგონა, თითქოს ჩვენ ძველისძველი მეგობრები ვიყავით და დიდი ხნის უნახავები ახლა ერთმანეთს შევხვიროდით.

„როცა ჩვენ აქ ეს საქმე წამოვიწყეთ, თორტიზაში არც ერთი ძირი ვაზი არ იყო“...

„როგორ გაქვთ საქმე? აწყობთ ახალ ცხოვრებას? თუ კვლავ ძველებურად ცხოვრობთ“?

„მაშ ახე, გაჩვენებთ, სიამოვნებით გაჩვენებთ ჩვენს პატარ-პატარა მიღწევებს,“ — გაიღიმა თავმჯდომარემ.

ხეტეტმბერია. დიდი ხანია რაც პური აღებულია, სიმინდის ოქროს ტაროები ჩამწკრივებულა ხულების ირგვლივ, სამაგიეროდ ახლომახლო ვენახებიდან კახური გაისმის და მწვანე ფოთლებში თითქოს შვლები გარბი-გამორბიან: გამოკრთება თეთრი კაბა, ფრინველის გალობასავით გაისმის სიმღერის ნაწყვეტი და თვალს მოკრავ ქალიშვილის ალერსიან ღიმილს. მივედით ვენახში. ირაკლი ჭავჭავაძე მტკიცე მხედრული ნაბიჯით მიგვიძღვება წინ. ჩვენი ქალები იღიმებიან, მის თავზე ქუდის ნაცვლად ქალის თავსაფრის მსგავსს რომ ხედავენ: აქ მას უაბალახს უწოდებენ. აი ჩვენ ვენახში ვართ. თავმჯდომარემ თავისი მზემოკიდებული ხელით მომადო ტუჩებზე ყურძნის ვეება მსხვილმარცვლიანი მტევანი.

„როცა ჩვენ აქ ეს საქმე წამოვიწყეთ, თორტიზაში არც ერთი ძირი ვაზი არ იყო. ხელით ვიღებდით მიწიდან ქვებს და ერთ გროვად ვყრიდით. ეს გროვა დღითი დღე იზრდებოდა და ბოლოს საფლავზე დადგმულ მაღალი ძეგლივით წამოიჭიმა. დაგვცინოდნენ კულაკები: — „ეს იქნება თქვენი კოლმეურნეობის პურიო“...

მაგრამ ვერც კი დაამთავრა თავმჯდომარემ თავისი ამბავი, რომ ბუჩქებიდან შავნაწნავებიანმა ლამაზმა გოგონებმა მოირბინეს. რა თქმა უნდა, ცოლიანი მამაკაცი ახე დაყინებით არ უნდა უთვალთვალებდეს ქალიშვილებს, მაგრამ, ჩემის აზრით, ადამიანი ბუნებრივი სილამაზის ყოველგვარი გამოვლინებით უნდა დატკბეს. საქართველოში კი, მერწმუნეთ, ისეთებიც, ნაკლებად ლამაზად რომ ითვლებიან, ქალური სილამაზის განსახიერებას წარმოადგენენ. სახე ცახავით გაშლილი აქვთ, თავზე ლრუბელივით შავი სქელი თმა ადევთ, მუქი თვალები კი თითქოს ამ ლრუბელში ელვასავით გამოკრთიან: მაგრამ ელვა ცუდ ამინდში იცის, მათი თვალების ციმციმი კი მხოლოდ კარგ ამინდს მოახწავებს. ჩვენ სათითაოდ ყველას მოგვაწოდეს უზარმაზარი მტევნები, მათი თვითეული მარცვალი ჩვენებური ქლიავის ოდენაა. ქალებს შორის ერთბაშად გაიმართა საუბარი, ან კი როგორ მოახერხეს, რომ ერთიმეორის მშვენივრად ესმოდათ ყველაფერი. მოქნილი თითებით აჩვენეს ჩვენებს, როგორ უნდა მოიჭრას მტევანი, მერე მისცეს ხელში დანა — ახლა თქვენ თვითონ ცადეთო.

მაგრამ ჩემი თვალები მარტო ვენახის ცქერით როდი ტკბებოდა. იქიდან, მთიდან კარგად მოჩანს ველი, რომელიც თორტიზას აკრავს ირგვლივ: ნათელი, ვეებერთელა ყანა, რომლის მსგავსი ჩვენში კარგად მდიდარ მემამულესაც არ გააჩნია; თორტიზას ნაპურალებისა და სიმინდის ყანების გვერდით კი ჭარხლის თვალუწვდენი მინდვრები გადაშლილან. მე სიბრალულით ამევსო გული, როცა ჩვენი დაქუცმაცებული მინდვრები გამახსენდა. იმ ჩვენს მინდვრებში თაგვი კუდს ვერ მოიქნევს, როგორც იტყვიან ხოლმე.

„ეს რამდენი ჭარხალი გქონია!“ — აღტაცებით აღმომხდა.

„რამდენი და, — ხელი გადაიხვა თავმჯდომარემ თავის შავ ულვაშებზე, — ოთხმოცდაექვსი ჰექტარი ამ წელიწადში... ტკბილ ჩაის დავლევთ, იოსებ ოსხების-ძევ, შაქარი ბლომად გვექნება“...

ქალიშვილები ჩვენს ქალებს უამბობენ, რომ ერთ შრომადღეში გარდა ბოსტნეულისა, ცხიმისა და ხორცისა კიდევ ერთ მეოთხედ კილოგრამ შაქარს იღებენ. მადლობა ღმერთს, აქ უკვე დედებს აღარ სჭირდებათ ბავშვების შეცაცხანება, საშაქრიდან ერთ ნატეხ შაქარს რომ ამოაცოცებენ. ქალიშვილები უხსნიან ჩვენებს, თუ როგორ მატულობს შრომადღის რაოდენობა მუშაობის ხიძნელისა და სირთულის მიხედვით. აქვე აცნობენ მერგოლურის, ბრიგადირის მუშაობას. ასეთი მაგალითიც უამბეს: აქ მგელაძეები არიანო, სამი და: თამარი, სოფიო და პაშა. შარშან მათ ერთად ათასი შრომადღე გამოუმუშავებიათ. და იცით, რამდენი მიუღიათ? ერთ შრომადღეში, საბოლოო ანგარიშის გასწორებისას, თითხმეტი კილოგრამი ხორბალი შეხვედრიათ, და ასე ამრიგად შავთვალწარბა გოგონებმა მამას შინ ასორმოცი ცენტნერი ხორბალი მიუტანეს... ამოდენა ხორბალი ერთად ჩვენ სიზმარშიც არ გვინახავს!

მე მომაგონდა ჩვენი გოგონები ვიშნევაიაში. მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე როგორ მუშაობდნენ ისინი კულაკის ყანაში წელში გაუშლელად, ათეთდე კრონად დღეში... რამდენი უნდა ემუშავათ ჩვენ ქალებს ახალგაზრდობაში, რომ ერთი წინსაფარი მაინც შეეძინათ...

ეს ორი საათი, რომელზეც გოგომ დაითანხმა ჩვენი მხლებელი, უკვე დიდი ხნის გახული იყო, როცა ჩვენ ყანებიდან და ვენახებიდან ისევ მასპინძლისას დავბრუნდით. მე ოღონდ ის მაკვირვებდა, რომ გიორგი სულ დაგვეკარგა სადღაც. მაგრამ ამას რას ვხედავ, აგერ ქუჩაში არ მოდის ჩვენი გიორგი! და ახლა არ იკითხავთ როგორ მორთულ-მოკაზმული? მალალყელიანი რბილი ჩექმები, კოხტად შეკერილი, წელში გამოყვანილი შავი ჩოხა ჩაუცვამს, და ჩქარი ნაბიჯით მოეშურება ჩვენსკენ.

„მაპატიე, იოსებ,— ღიმილით მეუბნება,—მაპატიეთ, ძვირფასო სტუმრებო!“.

მაგრამ იმ ეშმაკმა ის კი აღარ გვითხრა, ამ ხნის განმავლობაში ღორი რომ დაუკლავთ და გაუფუფუფქავთ: აბა ნახეთ ქართველების სტუმართმოყვარეობაო. და რამდენი ქათამი და ინდაური მიუყოლებიათ ზედ, ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ შემდეგში გავიგეთ.

ჩვენმა მხლებელმა უკანასკნელად სცადა ჩავეხვიეთ ავტობუსში, რომ ამით დღევანდელი პროგრამა დაეხრულებინა. მაგრამ ირაკლი ჭავჭავაძემ ისე შეხედა მას, თითქოს თვალებით შეეკმას უბრძანებდა. მერე ისეთი სიტყვები უთხრა ქართულად, ისეთი გრძელი და ისე ხმამაღლა, რომ ჩვენი მხლებელი ერთბაშად მოლბა და თავისი ხელით მიხურა ცარიელი ავტობუსის კარები. უარის თქმა რუსის ან უკრაინელის მასპინძლობაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან აწყენინო მათ. მაგრამ თუ საქართველოში უარს იტყვი სტუმრობაზე, ერთბაშად მასპინძლის, მთელი გვარის, ერთი სიტყვით, მთელი კოლმეურნეობის მტრად იქცევი, და რით შეიძლება ამ წყენის მონანიება, მარტო ერთმა ღმერთმა იცის... ეს მე უკვე გოგისაგან ვიცოდი და ამიტომ ჩვენებს ვუთხარი: „არ გაბედოთ უარის თქმა-მეთქი“. მათაც დამიჯერეს.

ელვის სისწრაფით მოედო მთელ თორტიზას ამბავი,— ჩეხოსლოვაკები მოვიდნენ სტუმრად. ქალიშვილები უკვე ბრუნდებოდნენ ვენახებიდან, თვითეულმა მათგანმა ხელი ჩაავლო თვითეულ ჩვენ ქალს და პირდაპირ თავთავიანთ სახლში წაიყვანეს. თავმჯდომარემ ნახევარი საათის ვადა მოგვცა, რომ ირგვლივ მიმოგვეხედა. მერე ყველა მიგვიწვია სუფრაზე, და ჩვენთან ერთად მაგიდას თითქმის მთელი თორტიზა შემოუსხდა.

აგერ ჩვენი გიორგი... მორთულ-მოკაზმული?!.

თუ სად ვიყავით და რა არ ვნახეთ ამ ნახევარ საათში, ადვილი სათქმელი როდია! ანდა რამდენი საჩუქარი წამოვიღეთ თვითეული სახლიდან, ამის ჩამოთვლასაც დიდხანს მოვუნდებოდი. მე მხოლოდ იმას გიამბობთ, თუ პირადად რა შემემთხვა.

მოგეხსენებათ, მე ხეები მიყვარს. ამიტომ სწრაფად წავედი ერთ-ერთი ბაღისაკენ, სადაც დახუნძლული ვაშლის, მსხლისა და კომშის ხეები მიწისკენ იხრებოდნენ. უეცრად მეხრიდან გასაოცარი ვაშლები დავინახე: შევაღე ჭიშკარი და ვაშლის ხისაკენ გავემართე. შევდგი თუ არა ფეხი ბაღში, უკან მომყვნენ მასპინძლები — ცოლი და ქმარი. მამაკაცს ორი სკამი მოაქვს, დიასახლისს თეფშით ქათამი და რაღაც, ჩემთვის უცნობი, თეთრი საწებელი...

„მიირთვით“... — ღიმილით მომმართეს და მომაწოდეს საჭმელი. მოვგლეჯე ქათამს ბარკალი, ამოვუწე საწებელში... ჩემი სხეულის თვითეული ძარღვი მეუბნება — სჭამე! როცა გავსინჯე, იმწამსვე დავუწყე დიასახლისს გამოკითხვა, როგორ კეთდება ასეთი შესანიშნავი საწებელი-მეთქი, რომ ჩემი ანდულკასთვის რეცეპტი წამეღო. იღებთ ნახევარ კილოგრამამდე კაკლის გულს — ნიგოზს, ნაყავთ როდინში და უმატებთ, არ შეგეშინდეთ... ნიორს! ვისაც როგორ მოსწონს, ან ცოტას, ან ბევრს. ნივრიანი ნიგოზი საწებელს ახალ, უცნობ, მაგრამ შესანიშნავ გემოს აძლევს!

მე გავერთე აქ საწებელზე ლაპარაკში, წინ კი მძიმე გამოცდა მელოდებოდა! სანამ ქათმის ბარკალს შევექცეოდი, მასპინძელი სადღაც წავიდა და მალე დაბრუნდა: იღლიაში ტიკი ეჭირა, ხელში კი ვერცხლით მოჭედილი ყანწები.

ჩემს გუნებაში ვამბობ: მახპინძლის გაწბილება არ შეიძლება-მეთქი და გამოვართვი ერთი ყანწი.

ახეთი ღვინო ჩემს სიცოცხლეში არ დამილევია: მუქი წითელი, თითქმის იისფერი, ზეთივით სქელი და ქიმანურივით ხურნელოვანი. ჩამოსხა ტიკიდან ღვინო ყანწში ვერცხლის რკალამდე, თავისთვისაც დაისხა.

„გაუმარჯოს დიდ სტალინს!“

მინდოდა მეთქვა, თუ როგორ გვიყვარდა ჩვენ სტალინი, თუ რა მადლობელი ვართ მისი ყველა იმ სიკეთისათვის, რაც მან მოგვცა, მაგრამ სიტყვები არ მეყო. ოღონდ სულით და გულით მივუჯახუნე ყანწი ყანწს და ვსვამ სტალინის მშობლიურ მხარეში მოყვანილ გემრიელ ღვინოს...

თქვენც არ მომიკვდეთ, მე ჩეხები არ შემირცხვენია: გამოვცალე ყანწი მახპინძელთან ერთად. როგორ შეიძლება თუნდაც ერთი წვეთის დატოვება, როცა ასეთი შესანიშნავი ადამიანის სადღეგრძელოს სვამ. მაგრამ ის-ის იყო, გადავატრიალე ჩემი ყანწი პირქვე, აჰა დაინახეთ, ჩემი ყანწი ცარიელია-თქო: რომ ამ დროს მახპინძელმა ისევ მოხსნა თავი ტიკს.

„მაპატიეთ... მაპატიეთ, — სწრაფად წამოვიძახე. — მიუჩვეველი ვარ, არ შემიძლია“.

ეს ჩემი შეცდომა იყო. მახპინძელმა უნდობლად შემომხედა, მოიღუშა და ჩაიბუზღუნა:

„ეს როგორ? თქვენი გოტვალდის სადღეგრძელო არ დავლიოთ“?

მე ძალიან გამეხარდა და გავწითლდი: საქართველოში კოლმეურნეები იცნობენ ჩვენს ამხანაგ გოტვალდს და ჩვენსავით უყვართ იგი! თქვენთვის უკვე გასაგებია, რომ უარის თქმა აღარ შემეძლო: რაღა ჩეხი ვიქნებოდი, ამხანაგ გოტვალდისათვის ჯანმრთელობა და ბედნიერება არ მესურვებია!

ნახევარი საათის შემდეგ ჩვენ ყველამ თავი მოვიყარეთ ირაკლის სახლთან ბაღში. სუფრები უკვე გაშლილი იყო და რა არ იყო აქ, სულო და გულო: მოხარშული და შემწვარი ინდაურები, გოჭები, შესანიშნავი ხილი: ყურძენი, ვაშლი, მსხალი, ბროწეული. ამდენი ნაირ-ნაირი საჭმელისაგან თვალი აგვჭრელდა. შემოვუსხედით სუფრას. მე თავმჯდომარეს მარჯვენა მხარეს ვუჯექი, ჩემს გვერდით კი, მარცხნივ, თავისუფალი იყო ერთი ადგილი. მეგონა, აქ დიასახლისი დაჯდებოდა, მაგრამ ირაკლიმ გაიღიმა და მითხრა:

„ეს ადგილი თამადისაა“...

აი თამადამ ასწია ვერცხლით მოჭედილი ყანწი...

რა არის თამადა-მეთქი, გავიფიქრე. მაგრამ ფიქრისათვის აღარ მეცალა. გაცხოველდა საუბარი; როცა სიტყვები აღარ გვყოფნიდა, ხან სუფრაზე ვხაზავდით თითით, ხან კიდევ ცისკენ ვიშვერდით ხელებს. ერთმანეთის კარგად გვესმოდა, რადგან გული გულს ცნობდა. თქვენ ხომ იცით, ჩვენს ქალებს კარგი თვალები აქვთ: ყველაფერს ამჩნევენ — როგორ ეცვათ ქართველ მანდილოსნებს, როგორ იყო საჭმელები მომზადებული, იმახსოვრებდნენ, თუ რა ნახეს სახლებში — რადიომიმღები, პატეფონი, ზღაპრულად ნაქარგი ნოხები... ხად გაგონილა, რომ სოფელში ნოხები ჰქონდეს ვისმეს! ჩვენმა მხიარულმა ენაჭარტალა გომილკამ გადმომძახა სუფრის მეორე ბოლოდან:

„ვეტროვეც, ეს ხომ სასწაულია! ჩვენ აქ თითქოს ზღაპრულ ქვეყანაში ვართ!“

ეს სასწაული არაა, ეს ზღაპარი არაა, ჩემო გოგონავ, გავიფიქრე გუნებაში. თუ მაინც სასწაულია, ყოველ შემთხვევაში ადამიანის თავისუფალი შრომის სასწაულია. აი ეს არის სოციალიზმი... ყველაზე უფრო ახლა მე მინდოდა ფრთები შემსხმოდა, თვალის დახამხამებაში ჩვენს ვიშნევაიაში გადავფრენილიყავი და ყველაფერი მეამბნა, დამემტკიცებია ჩვენებისთვის, რომ ჩვენც შეგვლებთ ასეთი სასწაულების მოხდენას, როცა გარდავქმნით ცხოვრებას ჩვენს სოფელში...

მაშინ ადამიანებიც გამოიცვლებიან: ერთიმეორეს ტყუილუბრალოდ აღარ დაუწყებენ კინკლაობას, არ ცემენ მეზობლის ბავშვს ერთი ვაშლისათვის, არ გადაუხნავენ ერთმანეთს გზას, ახალგაზრდები ცოლს უანგარო სიყვარულით შეირთავენ და არა ძროხის ან რაიმე სხვა მზითვის გულისათვის. ვუყურებ ჩვენებს, როგორი ანთებული თვალებით ესაუბრებოდნენ თორტიზელებს, უამბობდნენ თავიანთი სახლ-კარის შესახებ, თავიანთ ბავშვებზე, ოჯახზე. რას არ გავაკეთებთ ჩვენ ასეთი ადამიანებით ჩეხოსლოვაკიაში. იქნება სასწაული, იქნება! — მინდა ყველას გასაგონად დავიყვირო და ამ წუთში სიტყვა მივეცი საკუთარ თავს, რომ არ დავზოგავ ძალ-ღონეს, ვიდრე სოციალიზმს არ ავაშენებთ ჩვენში, ჩეხოსლოვაკიაში, ჩვენს ვიშნევაიაში.

ამ ფიქრებში რომ ვიყავი, თავმჯდომარემ ჩემს გვერდით თავისუფალ ადგილზე წარმოსადეგი, მაღალი, მთის ბოყვივით მოსული, თეთრწვერა მოხუცი მოიწვია. „იცნობდეთ, ეს ჩვენი თამადაა!“

აქამდე არც ერთ თორტიზელს ხელი არ უხლია ღვინისათვის, უთამადოდ, სუფრის უფროსის გარეშე საქართველოში სუფრაზე ღვინის სმა არ შეიძლება.

აი თამადამ ასწია ვერცხლით მოჭედილი ყანწი და წარმოთქვა ჩვენი ჩეხოსლოვაკიის სადღეგრძელო...

მე, ამხანაგებო, სიამოვნებით გიამბობდით, რა შესანიშნავად ლაპარაკობდა ეს ოთხმოცდაათი წლის ქართველი კოლმეურნე ჩვენს სამშობლოზე. მაგრამ ისე ლამაზად რომ ვილაპარაკო, პოეტი უნდა ვიყო. წიგნებშიც ვერ წერენ ისე, როგორც იმან ილაპარაკა სტალინზე, ჩვენს მეგობრობაზე, იმის შესახებ, რომ ჩვენი ჩეხოსლოვაკია შორსაა, მაგრამ სტალინის ნათელი თვალი კიდევ უფრო შორს იყურება, დედამიწის კიდეს სწვდება მისი მზერა და უკანასკნელ, უღატაკეს ადამიანსაც კი ამჩნევს. საამურად ცხოვრობს ხალხი სტალინის ქვეყანაში!... ილაპარაკა თამადამ გოტვალდის შესახებაც: რამდენი წვრილმანი რამ ცოდნია მას გოტვალდის ცხოვრებიდან... შევარდენი უწოდა მას, ჩვენ ჩეხოსლოვაკიას კი — თვალმარგალიტი, რომლის სინათლე არ ჩაქრება არასდროს სტალინური მზის ქვეშ...

მინდოდა მადლობა გადამეხადა მისთვის, მაგრამ სიხარულის ცრემლები მახრჩობდა და ენა ვერ მოვაბრუნე. და ვერც ერთი ჩვენგანი ლაპარაკს ვერ ახერხებდა უსაზღვრო სიხარულისა და ბედნიერებისგან. ჩვენ მხოლოდ გადავკოცნეთ იგი და სულ გავიძახოდით: „გაუმარჯოს! გაუმარჯოს!“

* * *

მდინარესავით მიედინება დრო. უკვე მალე ორი წელიწადი იქნება, რაც წითელი თორტიზიდან დავბრუნდი. აი შეხედეთ: თოვლი უკვე დნება გაზაფხულის მზის სხივების ქვეშ. ჩვენი ვიშნევაიას მინდვრები უკვე აღარ გამოიყურებიან აქა-იქ დაკერებული ქალის კაბასავით. ახლა ისინი ფართო, უხვმოსავლიანი მინდვრებია. უფრო სწრაფად ძგერს ჩემი გული, როცა მათ ჩვენი სოფლის ბორცვიდან გადავყურებ. ვიშნევაიაში არა მარტო მე, ათეული სხვა ამხანაგიც ხედავს სიზმარში წითელ თორტიზას. გული მწყდებოდა, რომ შვილი არ მყავდა, ახლა კი მთელი სოფლის ახალგაზრდები ჩემი შვილებია. ხალამოობით მოდიან ჩემთან მეზობლები, მოდის ახალგაზრდობა, ტრაქტორისტები, აგრონომები პირდაპირ მინდვრიდან ტალახიანი ჩექმებით, სხდებიან სადაც მოახერხებენ, სწევენ თამბაქოს და ბოლი დგება მთელ ოთახში. მაგრამ ანდულკა ახლა აღარ მიჯავრდება... იგიც ჩემსავით ბედნიერია. გვიან ნაშუალამემდე ვბაასობთ იმის შესახებ, თუ კიდევ რა უნდა გავაკეთოთ, ვფიქრობთ იმის შესახებ, თუ კიდევ უფრო როგორ წამოვწიოთ ჩვენი მეურნეობა, როგორ დავარწმუნოთ ის უკანასკნელი ლატაკიც, რომელსაც დღემდე ვერ გადაუწყვეტია რა გზას დაადგეს, დავარწმუნოთ შემოუერთდეს ჩვენს საერთო საქმეს.

მართალია ყურძენი და ის შესანიშნავი ვაშლები ჯერ არ ხარობენ ჩვენს ბორცვებზე, მაგრამ ჩვენმა კოოპერატორებმა უკვე მოიწიეს ბრინჯი, და ცდიან ბამბის მოყვანასაც. ვინ იცის, იქნებ ჩვენი წითელი ვიშნევაიას ბაღებშიც მოვიდეს მიჩურინული ვაშლები, ჩვენც გვექნეს ვენახები და სოციალისტური ხორბალი? ვის შეუძლია ჩვენი შეჩერება? ვის შეუძლია ჩვენი უკან დაბრუნება? ვერავინ ვერასოდეს ვერაფერს უზამს იმ ძალას, რომელიც მთელ მსოფლიოში ამოძრავდა: იქნება სოციალიზმი, იქნება, იქნება! ყოველ დილით, როცა ვდგები და სამუშაოდ გავდივარ, სტალინს ვუყურებ სახეში: მის გამჭრიახ თვალებს, რომლებიც ხედავენ ხვალინდელ დღეს, მის ნათელ შუბლს, რომელიც ჰქმნის ამ ხვალინდელ დღეს.

გმადლობთ, ამხანაგო სტალინ!

თარგმანი ჩეხურიდან



ძველი საქართველოს ხუროთმოძღვრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთა. სვეტიცხოვლის ტაძარი (1010—1029 წ.წ.)

ირ. ციციშვილი

ქართული ხუროთმოძღვრება არის ქართველი ხალხის ისტორიის ყველაზე ცხადი და მეტყველი ფურცელი. ხუროთმოძღვრების ძეგლები დღესაც წარმოადგენენ შთაგონების დაუშრეტელ წყაროს თანამედროვე ოსტატებისათვის მათ მისწრაფებაში — შექმნან შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური საბჭოთა არქიტექტურა.

ამიტომ იცავს საბჭოთა სახელმწიფო, ასეთი მბრუნველობით უვლის ხუროთმოძღვრების ძეგლებს — ჩვენი ხალხის ეროვნული კულტურის ოქროს ფონდს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო წარმოადგენს ძველი ხუროთმოძღვრების დიდ მუზეუმს. აქ შემონახულია მრავალი საკულტო, საერო და სამხედრო ნაგებობა. დაცულია ძველი ქალაქების, ციხე-სიმაგრეების და მონასტრების დიდებული არქიტექტურული ანსამბლები, რომლებიც განცვიფრებას იწვევენ მნახველში თავისი მხატვრული სრულქმნილობით, კომპოზიციის ორიგინალობით, ბუნებასთან შერწყმით.

ბევრი პირველხარისხოვანი ძეგლი გაფანტულია მცირე სოფლებსა და დაბებში, მინდვრებსა და ტყეებში, სადაც ოდესღაც მათ ქმნიდნენ უცნობი, ხალხის წრიდან გამოსული ოსტატები, რომლებმაც აღბეჭდეს ქვაში თავისი ხალხის სიდიადე და საკუთარი ქვეყნის ბუნების თვალწარმტაცი სილამაზე.

სამწუხაროდ, ჩვენი ძეგლების ხუროთმოძღვართა სახელები, უმეტეს შემთხვევაში, უცნობი რჩება. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ, პირველყოვლისა, საერთოდ ფეოდალური წყობის ბუნებასა და თავისებურებაში, რომლის წყალობით ძეგლზე იხსენიება მისი დამფინანსებელი — ქტიტორი და არა შემომქმედი — ხუროთმოძღვარი. ეგებ მეორეს მხრივ ამის მიზეზი იყოს, აგრეთვე, ქართველ ხუროთმოძღვართათვის ჩვეული თავმდაბლობაც. ასეთ პირობებში ყოველივე მცირე ცნობა ქართველი ოსტატების შესახებ ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია.

ხუროთმოძღვრული ხელოვნება საქართველოში ძველთაგანვე განვითარებული ყოფილა. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში მცხოვრები ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი აღნიშნავდა, რომ — „იბერია მშვენივრადაა დასახლებული ქალაქებითა და დაბებით, სადაც გვხვდება არქიტექტურული წესების თანახმად აშენებული შენობები".

მართალია ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობი რჩება პირველი საუკუნეების ხუროთმოძღვართა სახელები, მაგრამ საყურადღებოა, რომ უკვე IV საუკუნეში საქართველოში ყოფილა განსაკუთრებული თანამდებობისა და წოდების მქონე ოსტატები. ამას მოწმობს სამთავროში 1938 წელს აღმოჩენილი საფლავის ქვის წარწერა, რომელშიაც იხსენიება — „მხატვართ-უხუცესი და ხუროთმოძღვარი ავრელი აქოლისი და მისი მეუღლე ბევრაზურია". (პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მტკიცებით ტერმინი არქიზოგრაფი — მხატვართ-უხუცესი სხვაგან არ გვხვდება და სპეციალურად შექმნილია მცხეთაში არსებული თანამდებობის პირთათვის).

ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავმა ძეგლმა, მცხეთის ჯვარმა (586-604 წ.) შემოგვინახა თავისი ოსტატის სახეც. მისი გუმბათის წახნაგზე გამოსახულია მუხლმოდრეკილი ხუროთმოძღვრის რელიეფური ავტოპორტრეტი ვედრების პოზაში (არქ. მ. ჩხიკვაძის ცნობით, აღნიშნული რელიეფის მარჯვნივ ამოკვეთილია ოსტატის სახელიც — მიქელ თხელი).

X საუკუნიდან იწყება საქართველოს გაერთიანება და მძლავრი ფეოდალური მონარქიის შექმნა. X-XIII საუკუნეები, ეს არის ეპოქა ქართული ხუროთმოძღვრების მეორე ბრწყინვალე აყვავებისა. ამ პერიოდის ნაგებობებზე გაკეთებულმა წარწერებმა შემოგვინახეს რამდენიმე ოსტატის სახელი, აქედან ყველაზე ძველი უნდა იყოს ტაო-კლარჯეთში, თორთუმის ხეობაში მდებარე ოშკის დიდებული ტაძრის (958-961 წ.) წარწერა. ეს წარწერა მოგვითხრობს, რომ მშენებლობას ხელმძღვანელობდა გრიგოლ ოშკელი, ამასთანავე ძეგლზე მოთავსებულია მისი რელიეფური გამოსახულებაც. გრიგოლ ოშკელი მონასტრის ერთ-ერთი ძმათაგანია, ცნობილი აგრეთვე, როგორც ღვთისმეტყველების თხზულებათა მთარგმნელი, ამიტომ საფიქრებელია, რომ იგი იყო არა ხუროთმოძღვარი, არამედ ზედამდგომელი — სამუშაოთა ხელმძღვანელი.

ჯავახეთში მდებარე კუმურდოს ორიგინალური და შესანიშნავი ტაძარი, რომლის — საძირკველი გაიდგა 964 წელს, აგებულია ხუროთმოძღვარ „საკოცარის ხელით" ამავე X საუკუნეში (996 წ.) გაანალგებულია მარტვილის ძველი ტაძარი. მინაშენის დასავლეთის სარკმლის ზემოთ მოთავსებულ წარწერაში იხსენიება მიქელ გალატოზი ოპიზარი. მნიშვნელოვანია წარწერაში აღნიშნული ფაქტი ოსტატის წარმოშობის შესახებ. როგორც ჩანს, მშენებელი ყოფილა ოპიზიდან, ჭოროხის ხეობიდან სადაც მდებარეობს ოპიზის ცნობილი მონასტერი.

თეთრი-წყაროს მახლობლად, ძველ ნასოფლარ დრიანეთში დგას შედარებით მცირე ზომის, ორიგინალურად მოჩუქურთმებული ცალნავიანი ეკლესია აგებული X-XI საუკუნეთა მიჯნაზე. წარწერაში, რომელიც სამხრეთის მინაშენის სვეტზეა მოთავსებული იხსენიება — გალატოზი იოანე და მისი ძენი.

ქართული ხუროთმოძღვრების სიამაყე და ამ ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი მცხეთის კათედრალი — სვეტი-ცხოველი შენდებოდა 20 წლის განმავლობაში (1010-1029 წ.წ.). ამ ძეგლმა შემოგვინახა თავისი დიდი შემომქმედის სახელი. მის ჩრდილო ფასადზე ცენტრალური სარკმლის

ტბიხი. მშენებლების ავტოპორტრეტები.

ზემოთ, ხელისა და გონიოს რელიეფური გამოსახულების ორსავე მხარეს მოთავსებულია წარწერა — ხელი მონისა არსუკისძისა. აღმოსავლეთის ფასადზე, შუათაღის ქვეშ მოქცეულ დისკოებზე ვკითხულობთ: ადეშენა ესე წმიდა ეკლესია ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკისძისათა.

ლ. მესხიშვილის მართებული მტკიცებით სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარი არსუკისძე მშენებლობის დამთავრების წელსვე (1029) უნდა გარდაცვლილიყო.

საქართველოს ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლის — გუდარეხის მონასტრის მთავარ ეკლესიაზე, რომელიც 1221-1238 წლებშია აგებული, დაცულია მშენებლის სახელი. ეკლესიის სამხრეთის ფასადზე, შესასვლელის მარჯვნივ, დიდ ფილაზე მოთავსებული წარწერა გვამცნობს, რომ — აღეშენა წმიდა ესე ეკლესია ხელითა ფრიად ცოდვილისა ჭიჭაფორისძისათა. საფიქრებელია, რომ ჭიჭაფორისძე ცნობილი და გამოჩენილი ხუროთმოძღვარი ყოფილა, რადგან მისი სახელი მოთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, მანგლელი ეპისკოპოზის გვერდით.

მცხეთის ჯვარი. ხუროთმოძღვრის ავტოპორტრეტი.

XIII ს. 80-იან წლებში აგებულია საფარის მონასტრის წმ. საბას დიდებული ტაძარი. მისი კარიბჭის სარკმლის თავზე მოთავსებულ წარწერაში ვკითხულობთ: „სრულ იქმნა საყდარი ესე საძირკუელით ვიდრე ყოვლითა ფერითა ხელითა ფარელასძისათა".

არსებობს ცნობა, რომ ასპინძის რაიონში XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე აგებული შორეთის ეკლესიის მშენებელი ყოფილა ნიკოლოზ გალატოზი უხუცესი (დ. ბაქრაძის ცნობით ნიკოლოზ ცხოვრებას-ძე).

გვიანფეოდალურ ხანას ეკუთვნის სოფ. ტბისსა და ამლივს შორის, ალგეთის პირას მდებარე ფეოდალის გალავნით გამაგრებული სასახლის კომპლექსი. აქ ყურადღებას იპყრობს პაპუნა ბარათაშვილის მიერ 1683 წ. აგებული ეკლესია, რომლის დასავლეთის ფასადზე, ზემოთ მოთავსებულია ორი ოსტატის რელიეფური ნაკვთი. ნაკვთების თაღოვან თავსართებზე მხედრული წარწერებია — ოსტატი პაპუნა და ოსტატი პოღოსა. როგორც ვხედავთ, ეკლესია უშენებიათ ქართველსა და სომეხ ოსტატებს. საყურადღებოა, რომ ეკლესიის განხილვისას ადვილად შეიძლება გარჩეულ იქნას ამ ორივე ოსტატისათვის დამახასიათებელი ხელი.

დასასრულ, აღსანიშნავია XVIII ს. ხუროთმოძღვართა ნახაზები (დამუშავებული ვ. ბერიძის მიერ), და მათ შორის 1788-98 წლებში თბილისს-ბოლნისის გზაზე აგებული ქოლაგირის ციხის გეგმაც. ნახაზებს თანდართული აქვს განმარტებითი ბარათი, რომელშიაც პროექტის შემდგენელი მითითებას აძლევს სამუშაოს მწარმოებელს — სარაიდარს (ხუროთმოძღვარი) სტეფანეს. როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს ხუროთმოძღვართან და ზედამდგომელთან.

როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია ლიტერატურული წყაროების მიხედვით, ხუროთმოძღვარს თანაშემწეები ჰყოლია — კალატოზი, ან დიდი შენობის შემთხვევაში კალატოზთ-უხუცესი. ზედამდგომელი მშენებლობის განმხორციელებელი და საქმისმოქმედთა ანუ მუშაკთა ხელმძღვანელი იყო.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდგომი კვლევა-ძიება კიდევ გამოავლენს არა ერთი ქართველი ხუროთმოძღვრის სახელს და ეგებ შესაძლებელი გახდეს ხუროთმოძღვრისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხების მიხედვით, მათი რამდენიმე ნაწარმოების გამოვლენაც.

მცხეთის სვეტიცხოვლის წარწერა და რელიეფი ხუროთმოძღვრის მარჯვნივ გამოსახულებით.



ბესტავაშვილი ბაღში

ატმებით განთქმულია სოფლები—ხიდისთავი, პატარა ატენი, დიდი ატენი... საუკუნეთა მანძილზე უმჯობესდებოდა ატენის ხეობაში ხიდისთაური და ატენური ატმების ჯიში. ვის არ ხიბლავს მათი საუცხოო გემო და ფერი?!.

ატენის ხეობა განთქმულია, აგრეთვე, ყურძნით. აქ კარგად ხარობს ჩინური, მწვანე და ბუდეშური.

ერთი შეხედვით გეგონებათ, თითქოს აქ გასაკეთებელი მეტი აღარაფერია, რადგან ბუნებას ყველაფერი მოუცია, რადგან აქ დაუბერტყავს თავისი სიუხვის კალთაო.

მაგრამ ასე როდი ფიქრობს ქართველი მიჩურინელი, სახელოვანი მებაღე ვასო ბესტავაშვილი, უფრო სრულყოფილი ჯიშების გამოყვანა მისი სანუკვარი ოცნებაა. მართალია, მამა-პაპათა გამოცდილებით შემოწმებული ჯიშები თავისთავად კარგია, მაგრამ რატომ უნდა გაჩერდე ერთ წერტილზე, როცა კიდევ უფრო უკეთესი, გამძლე და მაღალხარისხოვანი ნაყოფის მიღება შეიძლება?!. სწორედ ეს ფიქრი არ ასვენებდა ვასოს და ამიტომაც შეუდგა იგი მთელი გულ-მოდგინებით ძველის გარდაქმნას, ახალის შექმნას.

ასე ხდებოდა ატენში: შესანიშნავად ხარობდა მწვანე ვაზი, ყურძნით იხუნძლებოდა მისი ლერწები, და აი, რთვლამდე ორი კვირით ადრე, მტევნის ბოლოები ჭკნობას იწყებდნენ, ნახევარ მოსავალსაც არ იძლეოდნენ, ასეთივე მდგომარეობაში იყო ატმებიც. ადრე იწყებოდა მათი ყვავილობა და როცა გაზაფხულის მოულოდნელი ქარ-ყინვა დაჰკრავდა, ყვავილი იღუპებოდა. ამასთანავე, ნაყოფი საერთოდ გვიან მწიფდებოდა. ბესტავაშვილმა იმთავითვე მიაქცია ყურადღება ამ მოვლენებს.

ბავშვობიდანვე უყვარდა ვასოს გამოცდილ მებაღეთა და მევენახეთა მუშაობის გაცნობა და შესწავლა. ღარიბი იყო, მაგრამ სწავლის წყურვილმა ყოველგვარი სიძნელე გადაალახვინა. 1898 წელს მან დაამთავრა გორის ოთხწლიანი სკოლა, შემდეგ სწავლობდა თბილისის მებაღეობის სკოლაში, ბოლოს კი ყირიმში დაასრულა მევენახეობისა და მეღვინეობის კურსები. ცოდნით აღჭურვილი დაუბრუნდა მშობლიურ მიწა-წყალს განათლებული ქართველი გლეხი.

დიდი ატენიდან ექვსი კილომეტრის დაშორებით ვასო ბესტავაშვილმა შეიძინა მიწის მცირე ნაკვეთი, და თავისი მეუღლის მარიამის დახმარებით ხელი მოჰკიდა სელექციის რთულ საქმეს. იგი არ შესდგომია ძველი ჯიშებიდან საუკეთესო ხეების უბრალო შერჩევას და გამრავლებას. ახალი ჯიშების გამომყვანმა დიდი დაკვირვებით უნდა შეარჩიოს „მამა“ და „დედა“-მცენარე. ამრიგად შერჩეული ერთმანეთის შესატყვისი მშობლების შთამომავლობას არ უნდა გააჩნდეს წინაპართა ნაკლი. მასში ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული ორივე წინაპრის დადებითი თვისებები და ის ახალი რამ, რაც მემკვიდრეობას კარგად გადაეცემა.

მიჩურინის რთულ, მაგრამ ჭეშმარიტ გზას დაადგა მისი გორელი მოწაფე ვასო ბესტავაშვილი ატენის ხეობაში.

მძიმე პირობებში უხდებოდა ვასოს მუშაობა. ოჯახი გორში ესახლა, სასელექციო ნაკვეთი კი შვიდი კილომეტრის დაშორებით ჰქონდა, დილით წავიდოდა, საღამოთი ბრუნდებოდა მოღლილ-მოქანცული. ახლა არ იკითხავთ, რამდენს დადიოდა საკუთარ ნაკვეთზე?—იგი ყოველ ხესთან ყოველ ვაზთან უნდა მისულიყო...

მთელი დღე ტრიალებდა საყვარელ ბაღში და განა მარტო ატმების სელექციით იყო გართული!.. არანაკლებ ყურადღებას აქცევდა თავის ახალ ვენახს. როგორც ნამდვილი ოქრომჭედელი ისე აკვირდებოდა სელექციონერი მევენახე ვაზის პაწაწინა თვალითშეუმჩნეველ ყვავილებს. ხშირად ვაზის ყვავილებზე გამადიდებელი შუშით უხდებოდა ცქერა და ცდების ჩატარება.

მიჩურინული სელექცია არ არის მარტო ჯიშების ერთმანეთთან შეჯვარება. ეს არის მათი თაობის გონივრული, თანმიმდევრული აღზრდა. ამაში შედის ნიადაგის შერჩევისა და მოვლის ყოველგვარი წესი.

ვასოს მეუღლე დარწმუნებული იყო ქმრის წარმატებაში. იგი ყოველმხრივ ხელს უწყობდა მას მაგრამ ხანდახან უიმედობის სევდაც იპყრობდა ხოლმე ვასოს ერთგულ მეგობარს. ეს ის წუთები იყო, როცა მრავალი წლის ძიების შემდეგ ვასო ვერ პოულობდა ბუნების საიდუმლოების გასაღებს და ოთახში ჩაიკეტებოდა მორიგი ცდების საწარმოებლად. მისი მიზანი იყო ყველასათვის ეჩვენებინა თავისი ცდების წარმატება, საყოველთაოდ სასარგებლო გაეხადა თავისი დიდი შრომის ნაყოფი.

შეიძლება თითო-ოროლა გლეხს რისკი გაეწია და დაემყნა ვასოს მიერ გამოყვანილი ატმისა და ყურძნის ახალი ჯიში, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. საჭირო იყო მისი მიღწევების ფართოდ დანერგვა და გავრცელება. ამ საქმეში კი ვასოს წინათ, ოქტომბრის რევოლუციამდე არავინ ეხმარებოდა.

მაგრამ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში. წელში გასწორდა ბესტავაშვილიც.

* * *

ეტლი მოჩანს ატენის ხეობის გზატკეცილზე. გაქაფული ბედაური მოაქროლებს მოხუც კაცს, რომელსაც გვერდით უზის ხანში შესული მანდილოსანი. კმაყოფილების ღიმილით გაყურებენ შესანიშნავ ბაღებსა და ვენახებს მდინარე ტანას ნაპირზე. ისეთი ცნობისმოყვარეობით უცქერენ ამ მომხიბლავ მიდამოებს, თითქოს პირველად იყვნენ ამ ადგილებში. ეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თელავის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის დასაყრდენი პუნქტის გამგე ვასო ბესტავაშვილი და მისი მეუღლე მარიამია. ისინი გორიდან მოდიან თავიანთი სასელექციო ნაკვეთის დასათვალიერებლად. 0,75 ჰექტარს უდრის მისი მშვენიერი ბაღი. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ ვასო ბესტავაშვილს სელექციის საწარმოებლად დამატებით გამოუყო კიდევ 3 ჰექტარი მიწა ხიდისთავში. ფართო ასპარეზი მიეცა მის ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას. მკვიდრ ნიადაგზე დადგა ქართველი მიჩურინელის შრომა.

გორისა და მეზობელი რაიონების სოფლებში ახლა დიდად გავრცელებულია ბესტავაშვილის მიერ გამოყვანილი ჯიშის ატმები.

თვითონ ხიდისთავში, ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, და მევენახეობის საქართველოს მრავალ საბჭოთა მეურნეობაში ათასობით ძირი ვენახია დამყნილი მისი ლერწებით.

ზაქარია მერაზაღაშვილი

პ უ რ ი

გვიქებენ ქართულ ჩაის, ნარინჯებს,
გვიქებენ ფოლადს, ღვინოს, თამბაქოს,
მაგრამ იმდენად უნდა გავირჯეთ,
ჩვენი პურითაც დავიტრაბახოთ.

უნდა იმარჯვოს ყველა ჩვენგანმა, —
უამინდობაც ჩამოგვეხსნება,
და საქართველოს მეზობელთაგან
არ დასჭირდება პურის სესხება.

ექსკავატორის საჭის ჩაბღუჯვა
ჰგავდეს ფრანგულზე ხელის გავლებას,
რათა მამულის გზებზე აბუჩად
ვეღარ შემოდგან ფეხი გვალვებმა.

დე მტერმა სავსემ ბოღმით, ვარამით
სამშობლოს საზღვრებს ისევ უღრინოს,
ჩვენ ვიდევგმირებთ, ბეღელ-მარანში
რომ საკუთარი გვქონდეს პურ-ღვინო.

ხერთვისის გზაზე

უკან დავტოვე წალკა, ხრამჰესი,
ჩამოვუარე განთქმულ ფარავანს,
ალბად ირცხვენდა, ჩემი სამხრეთი
თავის სიშიშვლეს ნისლში ფარავდა.

მთებს და ხეობებს ვდიე ლანდივით,
ფეხით გადმოველ განთქმულ ხერთვისზე,
შოვის ტყეების ჩრდილში გაზრდილი
შიშველ მთაგორებს ვერ შევეთვისე.

უტყეოდ ლამის თვალნი დამთხარონ,
ჰგვანან ქედები ლომებს უსულოს,
მე აქ მუხნარი უნდა ჩავყარო,
მას გახარება უნდა ვუსურვო.

მთებო, ადექით, გახედეთ მყობადს,
სიცოცხლის ახალ კერად დაგსახეთ,
სოფლებთან ერთად თქვენს შესამკობად
ტყესა და ბაღნარს გადმოვასახლებ.



↑ რუსთავი. ფოლადი ბლუმინგის კონვეიერზე

↓ მეტალურგთა ქალაქის ცენტრალური ქუჩა

ფოტო ი. ხალიპისა

რა შეიტანა ახალი ვასო ბესტავაშვილმა საქართველოს მებაღეობასა და მევენახეობაში?

ივლისის დამდეგს, რომ მისი ატმების ბაღში შეხვიდეთ, შემდეგ სურათს ნახავთ: მწვანე ფოთლებში ბრწყინავს ძველებური ჯიშის ატმების მოწითალო ფერის ნაყოფი. 20-25 ოქტომბერს კი ზედიზედ მწიფდება ატმის სხვა ჯიშებიც.

ბევრი შრომა გასწიეს გორის საცდელ-სასელექციო სადგურის მეცნიერებმა თანამშრომლებმა და ხელმძღვანელებმა, რომ ატმების შეჯიბრების ეს კონვეიერი შეექმნათ. მათ საუკეთესო ჯიშის ატმები აღმოაჩინეს ყირიმში, უზბეკეთში, სომხეთში, ტაჯიკეთში, აზერბაიჯანში, გორში და საქართველოს სხვა რაიონებში. შექმნა რა ძველი და ახალი ჯიშების კოლექცია, სადგური სელექციას თვითონ აწარმოებს. სადგურის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში ამხ. ე. ერისთავმა გამოიყვანა საუკეთესო ატმები—„ვარდისფერი“ და „პიონერი“.

25 ჰექტარს შეიცავს ამ სადგურის ატმების ბაღი, სადაც 160 ჯიშის ცოცხალი კოლექციაა წარმოდგენილი თითქოს ძნელია რაიმე ახლის დამატება, მაგრამ ბესტავაშვილის ბაღიდან მაინც მოიტანეს ოთხი ახალი ჯიშის ატამი. განსაკუთრებით კარგია ატმის ჯიში „ბესტავაშვილი.“ მისი ნაყოფის საშუალო წონა 165 გრამს უდრის. იგი კარგ მოსავალს იძლევა. შესანიშნავია მისგან დამზადებული კომპოტი.

ასევე სანიმუშოა გორელი მიჩურინელის მეორე ჯიშის ატამი—წედისური. ისიც დიდია, 5-7 დღეს ინახება საღად და მეტად მაღალმოსავლიანია.

ოცზე მეტი ახალი ჯიშის ატამი შექმნა ბესტავაშვილმა. მან ბევრი რამ ახალი შეიტანა მევენახეობაშიც. კილოგრამამდე იწონის მის მიერ შექმნილი თავკვერის მტევანი. მისი ღვინო სისხლივით წითელია და გემოთიც შესანიშნავი. ბესტავაშვილმა თავკვერის ჯიში საფერავთან შეაჯვარა და საუცხოო შედეგი მიიღო. ასევე, მწვანე ჯიშის ჩინურთან შეუღლებით მიიღო ტკბილი, უჭკნობი მტევანი, რომლის შაქრიანობა 21-23 პროცენტს უდრის.

დიდია ვასო ბესტავაშვილის მიღწევები საქართველოს მებაღეობისა და მევენახეობის განვითარების საქმეში. უკვე ოთხმოცი წლის მოხუცია, მაგრამ მაინც ახალგაზრდად გრძნობს თავს გორელი ჩიჩურინელი.

— რაც გამიკეთებია მხოლოდ დასაწყისია. კიდევ ბევრია გასაკეთებელი!—ამბობს იგი და მტკიცედ სჯერა, რომ ყველაფერს შესძლებს საბჭოთა მთავრობის დახმარებით.

გ. იაფე

შავი ოქროს ქალაქი

საქართველოს სსრ-ში ყველაზე ახალგაზრდა ინდუსტრიულ ქალაქად რუსთავი ითვლება. მასზე რამდენიმე წლით „უფროსია“ ტყვარჩელი, რომელსაც ა. წ. 9 აპრილს 10 წელი შეუსრულდა. უდიდესი შრომითი ალმავლობით ხვდებიან ტყვარჩელელები ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება შახტებსა, უბნებსა და ბრიგადებში. სტახანოვურ ვახტზე დადგნენ ქალაქის საწარმოთა და ახალმშენებლობათა კოლექტივები.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი ტყვარჩელის ბუნებრივი სიმდიდრის — ქვანახშირის ათვისება. ტყვარჩელი გადაიქცა ქვანახშირისა და ენერგეტიკის ახალ, მნიშვნელოვან კერად საქართველოში.

1951 წლის განმავლობაში ტყვარჩელელებმა სამჯერ შეინარჩუნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ახლა ამ საამაყო ჯილდოს კვლავ შენარჩუნებისათვის დღითი დღე ძლიერდება შრომითი ტემპები. მეშახტეთა შრომა დიდად გააადვილა ახალი, გაუმჯობესებული მექანიზმების დანერგვამ, მუშაობის ციკლური გრაფიკზე გადასვლამ. ბელადის სახელობის შახტის მეცხრე უბანში, რომელსაც ახალგაზრდა სამთო ინჟინერი გ. სვანიძე ხელმძღვანელობს, ეფექტიურად იყენებენ ქვანახშირის სანგრევ კომბაინს „დონბასს“. ცალკეულ ლავებში განხორციელდა გათხრითი სამუშაოთა მექანიზაცია. ამ ღონისძიებებმა თვალსაჩინოდ გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

ტყვარჩელში მრავალია მოწინავე მუშა. აი, მაგალითად მნგრეველი ნ. ხაჩიპერაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გამყვანი ვ. ჟიტნიკოვი და მრავალი სხვა. ეს უკანასკნელი 1963 წლის ანგარიშში მუშაობს, ნ. ხაჩიპერაძე კი 1957 წლის ანგარიშში იძლევა ქვანახშირს. ნ. ხაჩიპერაძე ნოვატორიც არის. მის მიერ კონსტრუირებული ელექტრობურღის დაზგის დახმარებით მეშახტეები მკვეთრად ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას.

ტყვარჩელში ფართო მასშტაბით არის გაჩაღებული კომუნალური მშენებლობა. დღითი დღე უმჯობესდება მშრომელთა კულტსაყოფაცხოვრებო პირობები. მომდინარე წელს აგებული იქნა კიდევ რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, საშუალო სკოლისა და საბავშვო ბაგის შენობები, სტადიონი და სხვ.

გრ. ფხაკაძე

ფოტოზე — ზემოთ: ერთ-ერთი ახალი ქუჩა ტყვარჩელში. ქვემოთ: ნახშირის გადაზიდვა საჰაერო გზით.

ფოტო ს. კოროტკოვისა

ა. ი. გერცენი

დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი, გამოჩენილი ფილოსოფოსი მატერიალისტი, ბრწყინვალე პუბლიცისტი და ლიტერატორი ალექსანდრე ივანეს-ძე გერცენი ეკუთვნოდა თავისი დროის უდიდეს მოაზროვნე ადამიანთა რიცხვს. თავისი ქვეყნის ამ უდიდესი პატრიოტის, დაუღალავი მებრძოლი ემიგრანტის ხმა უცხოეთიდან გაისმოდა „ვით სიმართლის, სიკეთისა და თავისუფლების ზარი“.

გერცენი დაიბადა 1812 წლის 6 აპრილს. იგი „უკანონო“ შვილი იყო მდიდარი რუსი მემამულის იაკოვლევის.

გერცენი ყრმობიდანვე ბევრს ფიქრობდა სოციალურ უთანასწორობაზე. დეკაბრისტების აჯანყებამ და მათმა დამარცხებამ ღრმა დაღი დაასვა გერცენის მისწრაფებებს.

მამის სიკვდილის შემდეგ (1847 წ.), გერცენი აღწევს თავს ნიკოლოზ I-ის მთავრობის ტყვეობას და მიემგზავრება უცხოეთში. პარიზში მის თვალწინ გაიარა 1848 წლის რევოლუციამ. ივნისის სისხლის ღვრამ და რეაქციის გამარჯვებამ თავზარი დასცა გერცენს. ზეიმობდა ის კლასი, რომლის მიმართაც გერცენი სიძულვილით იყო გამსჭვალული. ზეიმობდა ბურჟუაზიული და კლერიკალური ევროპა. ზეიმობდნენ „წესრიგის კანიბალები“, მაშინ, როცა „ივნისის ბარიკადები ჯერ კიდევ თბილი იყო სისხლისაგან“ (გერცენი).

გერცენი დარწმუნებული იყო, რომ უნდა მომხდარიყო ახალი რევოლუცია, პოლიტიკური და ეკონომიური ძირფესვიანი გადატრიალება, მაგრამ იგი ვერ ხედავდა იმ ძალას, რომელიც ამ გადატრიალებას ჩაუდგებოდა სათავეში. და აი მან დაიწყო ქადაგება, რომ სოციალიზმი მოვა რუსეთიდან, რუსეთი გლეხურ „ობშჩინების“ ნიადაგზე გვერდს აუვლის კაპიტალიზმის ეტაპს და პირდაპირ გადავა სოციალიზმში. ამით მან საფუძველი ჩაუყარა ნაროდნიკობას. გერცენმა ვერ შეძლო საზოგადოების განვითარების კანონების გაგება. „გერცენი უშუალოდ მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე და შეჩერდა—ისტორიული მატერიალიზმის წინაშე“ (ლენინი).

1857 წელს საზღვარგარეთ გამოდის გერცენის პოლიტიკური ორკვირეული ჟურნალი „კოლოკოლ“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა იმდროინდელ რუსეთის პოლიტიკურ განვითარებაში. ეს ჟურნალი ამხელდა მეფის რუსეთის მოხელეებისა და მემამულეების აღვირახსნილობას, ბატონყმობის მთელ სისაძაგლეს. აღსანიშნავია, რომ გერცენი „კოლოკოლში“ საქართველოს შესახებაც ათავსებდა წერილებს, პირადად იცნობდა ნ. ნიკოლაძეს და თავის მიწერ-მოწერაში ხშირად ახსენებს მას.

უკანასკნელი წლები გერცენმა დიდ სულიერ ტანჯვაში გაატარა, იგი რუსმა ლიბერალებმაც კი მიატოვეს „კოლოკოლის“ გამემარცხენების გამო, და აი, მხცოვანი მოაზროვნე ეძლევა მოგონებებს, რის შედეგად გვიტოვებს „ბილოე ი დუმის“, ამ შესანიშნავ „მოგონებათა მუსიკას“, რომელიც გვერდს უმშვენებს მის ადრინდელ ნაწარმოებებს, მათ შორის შესანიშნავ რომანს „ვინაა დამნაშავე?“, სადაც გერცენი აყენებდა მთელ რიგ სოციალურ საკითხებს.

მთელი თავისი ლიტერატურული და პუბლიცისტური მოღვაწეობით გერცენს, რომელიც XIX საუკ. პირველი ნახევრის ლიბერალური აზნაურობის მებაირახტრე იყო, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რუსეთის წვრილბურჟუაზიულ სოციალისტური აზროვნებისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

გერცენი ბოლო წლებში დასახლდა პარიზში, გარდაიცვალა 1870 წელს და დაკრძალულია ნიცაში.

ი. ჯავახიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

განსვენებულ აკადემიკოსს ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილს 1939 წელს მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავი შეუსრულდა. მაშინ საქმეში ვმუშაობდი, რედაქტორად. ივანე ჯავახიშვილთან საუბარი და მისი ბიოგრაფიის შედგენა დამავალეს. ივანე ჯავახიშვილმა მისთვის ჩვეული სიდარბაისლითა და კეთილშობილებით მიმიღო. საუბარი დიდხანს გაგრძელდა. მეორე დღესაც ვეახლე, შემდეგ ნაამბობი სუფთად დავწერე და გადასახედად მივუტანე. მან ჩემი ხელნაწერი გაასწორა. გასწორებული გადავბეჭდე, რუსულადაც ვთარგმნე და ორივე ეგზემპლარი ვაჩვენე. მხცოვანმა მეცნიერმა კვლავ გულდასმით გაასწორა ქართული და რუსული ტექსტები. ამრიგად, მან სამჯერ წაიკითხა თავისი ბიოგრაფია და ყოველ სტრიქონს ღრმად ჩაუკვირდა.

ივანე ჯავახიშვილის ხელით ნასწორები მასალები დაცულია ჩემთან. ვაქვეყნებთ საბოლოო რედაქციას უმნიშვნელო, აუცილებელი ცვლილებებით. ბიოგრაფიის შესწორებულ ადგილებში (მშობლების, ნაშრომების დახასიათება და სხვ.) ზუსტადაა დაცული ი. ჯავახიშვილის სტილი.

ივანე ჯავახიშვილის უძველესი წინაპარნი — გამრეკელ-თორელები ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში გადმოსახლებულან ჯავახეთიდან ქართლში, სოფელ ხოვლეში. მეთხუთმეტე საუკუნემდე მათ თავიანთი გვარი უტარებიათ, შემდეგ კი, წინანდელი ადგილსამყოფელის—ჯავახეთის მიხედვით, ჯავახიშვილებად იწოდებიან.

ივანე ჯავახიშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1876 წ. 11 აპრილს (ძვ. სტილით). მისი მამა ალექსანდრე ივანეს-ძე გამოცდილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იყო; ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რამაც მომავალი მეცნიერის გათვითცნობიერებაში უდიდესი როლი შეასრულა. გარდა ამისა, იგი მუშაობდა, აგრეთვე, როგორც მკვლევარი. ალ. ჯავახიშვილის კალამს ეკუთვნის ნაშრომები ქ. გორისა და უფლისციხის აღწერილობათა შესახებ, გამოქვეყნებული აქვს ქართული ხალხური სიტყვიერების რამდენიმე ძეგლიც. ამზადებდა დიდ შრომას — „ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერილობას", რომელიც დაუმთავრებელი დარჩა. 45 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა იგი პედაგოგიურ ასპარეზზე. გარდაიცვალა 1912 წ.

ივანეს დედას სოფიო ათანასეს ასულ ვახვახიშვილს დამთავრებული ჰქონდა თელავის წმ. ნინოს სასწავლებელი. იგი ყოველნაირად უწყობდა ხელს შვილების საერთო განვითარებას. მადლობისა და სიყვარულის ნიშნად ივ. ჯავახიშვილმა თავისი პირველივე დიდი ნაშრომი — „ქართველი ერის ისტორია" თავის დედასა და მამას უძღვნა.

ივანე ჯავახიშვილი სწავლობდა თბილისის ჯერ მესამე, შემდეგ კი პირველ კლასიკურ გიმნაზიაში. ჭაბუკი ივანე გატაცებული იყო ხატვით და მუსიკით, უკრავდა და მღეროდა. მას თავდაპირველად განზრახული ჰქონდა სწორედ ამ სფეროში მუშაობა, მაგრამ ორმა გარემოებამ გადასწყვიტა მისი შემდგომი მოღვაწეობის ბედი. აგროვებდა რა მასალებს „ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობისათვის", ალექსანდრე ჯავახიშვილი ხშირად მოგზაურობდა. ერთხელ მან თან წაიყვანა თავისი ივანეც თეძმის ხეობაში, სახელგანთქმულ რკონის მონასტერში, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების იშვიათ ძეგლს წარმოადგენს და რომელმაც ჭაბუკ ივანეზე წარუშალელი შთაბეჭდილება მოახდინა. აქ ივანე ეხმარებოდა მამას ნაგებობათა გაზომვაში, ხატავდა ორნამენტებს და სხვ.

1895 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ივანე ჯავახიშვილი შევიდა პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე და ჩაირიცხა ქართული, სომხური და ირანული ფილოლოგიის განყოფილებაზე. იმავე უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს ფილოლოგიურსა და იურიდიულ ფაკულტეტებზედაც. 1896 წელს რევოლუციონერი ქალის ვეტროვას დაღუპვის გამო პეტერბურგში გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებისათვის ი. ჯავახიშვილი დაპატიმრებულ იქნა.

უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ საკონკურსო თემაზე, 1898 წლის 15 დეკემბერს, ივანე ჯავახიშვილმა წარადგინა თავისი ნაშრომი —„ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში", რომლითაც დაამტკიცა, რომ ანდრია მოციქული არასდროს არ ყოფილა საქართველოში და ცნობები ნინოს მშობლებისა და აღზრდის შესახებაც მერმინდელ შენათხზს წარმოადგენს. ამ შრომამ ნაციონალისტურად განწყობილ ელემენტებსა და სასულიერო წოდების წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგან იგი აქარწყლებდა მანამდე არსებულ ზღაპრებს საქართველოს ისტორიის სფეროში. ისინი ვერ გრძნობდნენ, რომ მეორე მხრივ ამ გზით საფუძველი ეყრებოდა აკადემიურ, მეცნიერულ კვლევა-ძიებას. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ი. ჯავახიშვილი ოქროს მედლით დააჯილდოვა და დაადგინა, რომ ეს საკონკურსო ნაშრომი გამოქვეყნებულიყო. იგი დაიბეჭდა ქართულად ჟურნალ „მოამბეში", ხოლო რუსულად—„სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში".

1899 წელს ი. ჯავახიშვილმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და დატოვებულ იქნა იქვე საპროფესორად მოსამზადებლად და სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1901 წელს მან ჩააბარა სადოქტორო გამოცდა და უნივერსიტეტის მიერ მივლინებულ იქნა ბერლინში, სადაც მუშაობდა ცნობილ მეცნიერებთან, პროფესორ-ისტორიკოსებთან ჰარნაკთან და ბრუნერთან (სამართლის ისტორიაში). აქ, პრუსიის სამეცნიერო აკადემიის უწყებებში ი. ჯავახიშვილმა გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომი (1902 წ.) და მიიღო წინადადება დარჩენილიყო ბერლინის უნივერსიტეტში, მაგრამ მან სამშობლოში დაბრუნება და მოღვაწეობა არჩია.

1902 წ. პროფ. მართან და დოც. ვასილიევთან ერთად ი. ჯავახიშვილი



ივ. ჯავახიშვილის ხელით ნასწორები გვერდი მისი ბიოგრაფიიდან.

ვ. ა. ჟუკოვსკი

(გარდაცვალებიდან 100 წლისთავის გამო)

ტულელ მემამულე ათანასე ივანეს-ძე ბუნინს ყმებმა თურქთა ლაშქრობიდან თხუთმეტი წლის ტყვე თურქი გოგონა სალხა ჩამოუყვანეს.

1783 წლის 29 იანვარს სალხას ბუნინისაგან შეეძინა ვაჟი, რომელსაც ვასილი დაარქვეს. ვასილს მისცეს ბუნინის კარზე მცხოვრები, ღარიბი აზნაურის ანდრეი გრიგოლის-ძე ჟუკოვსკის გვარი. ბუნინი გარდაიცვალა, როცა ვასილი 8 წლისა იყო. ბავშვს ბუნინის ქალიშვილები ზრდიდნენ, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის კეთილშობილთა პანსიონში მიაბარეს.

ჟუკოვსკი დაუახლოვდა მწერალთა წრეს—კარამზინს, ბატიუშკოვს, ვიაზემსკის და სხვ. კარამზინმა ჟურნალში „ვესტნიკ ევროპი“ 1802 წ. ჟუკოვსკის დაუბეჭდა პირველი ელეგია „სოფლის სასაფლაო“—ინგლისელ პოეტ გრეის იმავე სახელწოდების ელეგიის თარგმანი.

ეს იყო ჟუკოვსკის ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლა.

ჟუკოვსკი სანტიმენტალისტი პოეტია, რომელზეც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რომანტიზმმა. მან ნათლად ასახა საშუალო, კონსერვატიული თავადაზნაურობის სულიერი განწყობილება. მელანქოლიური ოცნებანი, ამქვეყნიური ცხოვრების „ამაოებაზე“ ფიქრი, წარსულის მოგონებანი, მისტიკურ სამოსელში გახვეული სიყვარული და მეგობრობა, საშინელი, უთვარო ღამეები, იდუმალი პეიზაჟები, მოჩვენებანი, ალქაჯები და კუდიანები—ჟუკოვსკის საყვარელი თემებია.

პოეტური ფორმებიდან ყველაზე ხშირად იგი ელეგიასა და ბალადას მიმართავს.

ჟუკოვსკის განსაკუთრებული სახელი მოუპოვეს მისმა ბალადებმა: „ლიუდმილა“, „სვეტლანა“, „თორმეტი მძინარე ქალწული“.

ჟუკოვსკიმ სახელი გაითქვა აგრეთვე როგორც ანტიკური ეპოსის საუკეთესო მთარგმნელმა. მან თარგმნა „ოდისეა“, „ილიადას“ ნაწილი და სხვ.

პუშკინი, ბესტუჟევის კრიტიკული სტატიის საპასუხოდ, რილეევს წერდა: „მისი თარგმანის ენა ყოველთვის სანიმუშო დარჩება“.

ჟუკოვსკი თავისი ნაწარმოებების შესახებ ლაპარაკობდა: „ყველაფერი, რაცა მაქვს, თარგმანია და ამავე დროს საკუთარიც“. და ეს მართლაც ასეა. ჟუკოვსკის ყველა ნაწარმოებში წითელ ზოლად მისდევს ერთი და იგივე თემა — უბედური სიყვარულის თემა, მელანქოლია, მისტიციზმი.

1812 წ. ჟუკოვსკი შევიდა რუსეთის არმიაში და ბოროდინოს ბრძოლას დაესწრო. მან უმღერა ბოროდინოს ბრძოლას და მასში მონაწილე რუს გენერლებს დიდ ნაწარმოებში „მომღერალი რუს მეომართა ბანაკში“.

როგორც მეფის ოჯახისადმი დაახლოებულმა პირმა, ჟუკოვსკიმ შეძლო რამდენადმე მაინც შეემსუბუქებია ის დევნა, რომელსაც მეფის მთავრობისაგან განიცდიდნენ ნაციონალ-ლიტერატურის მოწინავე წარმომადგენლები.

1815 წელს პეტერბურგში ჟუკოვსკი თავის მეგობრებთან ერთად აარსებს „არზამასს“—ლიტერატურულ საზოგადოებას, რომელიც თავგამოდებით ებრძოდა ლიტერატურის ბატონყმურ-რეაქციულ ფრთას.

20-იან წლებისათვის ჟუკოვსკის ხელმძღვანელი როლი რუსული პოეზიის განვითარებაში დასრულდა.

ლიტერატურაში დადგა პუშკინისა და დეკაბრისტების ეპოქა.

ჟუკოვსკი სულითა და გულით მიესალმა ამ ახალ ეპოქას.

თავის მხრივ პუშკინს კარგად ესმოდა, თუ რა გააკეთა ჟუკოვსკიმ ახალი ეპოქისათვის. პუშკინი ჟუკოვსკის კრიტიკოსების საპასუხოდ წერდა: „არ შეგვფერის ძუძუები დავუკბინოთ ჩვენს ძიძას“.

იგივე აზრი გამოთქვა შემდეგში ბელინსკიმაც.

და მართლაც, ჟუკოვსკიმ გზა გაუკაფა მომავალ რუსულ პოეზიას, თავისი მუშაობით მან ნიადაგი მოუმზადა პუშკინის ლექსის წარმოშობას. ლექსის დახვეწილობა და ფორმის სხვადასხვაობა ღრმა ლირიზმთან შერწყმული დამახასიათებელია ჟუკოვსკის შემოქმედებისათვის.

ვ. ა. ჟუკოვსკი გარდაიცვალა 1852 წლის 12 აპრილს.

გაგზავნილ იქნა სინას მთაზე, უძველესი ქართული ხელნაწერების შესასწავლად და აღსაწერად. იქ მან 1902 წლის სექტემბრამდე დაჰყო.

1903 წლის იანვრიდან ი. ჯავახიშვილი მიწვეულ იქნა პეტერბურგის უნივერსიტეტში პრივატ-დოცენტად, სადაც კითხულობდა საქართველოსა და სომხეთის ისტორიის კურსს.

1905 წელს პეტერბურგში მან გამოაქვეყნა ნაშრომი „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში“. წიგნი ფაქტიურ მასალას აწვდიდა სახელმწიფო სათათბიროს წევრებს. იგი 5000 ცალი დაიბეჭდა, ნახევარი გავრცელდა, ხოლო ნახევარი მთავრობამ დააკავა და ი. ჯავახიშვილი პასუხისგებაში იქნა მიცემული „როგორც არსებული ხელისუფლებისადმი მტრული განწყობილების გამომწვევი და ხელისუფლების შეცვლისაკენ მიმართული ნაშრომის ავტორი“, მაგრამ რადგან აღნიშნულ ნაშრომში ი. ჯავახიშვილი ოფიციალურ გამოცემებში გამოქვეყნებულ მასალებს ეყრდნობოდა ბრალდება ვერ დაუმტკიცეს, წიგნი კი მოსპეს და ავტორზე საიდუმლო მეთვალყურეობა დაწესეს.

1906 წელს ი. ჯავახიშვილმა დაიცვა დისერტაცია თემაზე „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფო წესწყობილება“ და მას ქართული ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხი მიენიჭა.

ი. ჯავახიშვილი დარჩა პეტერბურგის უნივერსიტეტში 1917 წლამდე და ამავე წელს არჩეულ იქნა უნივერსიტეტის დოცენტად.

1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ი. ჯავახიშვილმა პეტერბურგში თავის ბინაზე თავი მოუყარა ქართველ მეცნიერ მუშაკებს და დასვა ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი. ამის შემდეგ იგი ჩამოვიდა საქართველოში და გამოვიდა მოხსენებით თბილისსა და ქუთაისში ქართული უნივერსიტეტის დაარსების საჭიროების შესახებ. ამ აზრის განსახორციელებლად შეიქმნა „ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება“.

ქართული უნივერსიტეტი დაარსდა 1918 წლის 25 იანვარს, როგორც კერძო უმაღლესი სასწავლებელი და მხოლოდ იმავე წლის შემოდგომიდან გამოცხადებულ იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტად. უნივერსიტეტის რექტორად 1918 წ. აირჩიეს სახელმოხვეჭილი მეცნიერი პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი კი—პროფესორად და ფილოსოფიური ფაკულტეტის დეკანად. 1919-დან 1926 წლამდე იგი უნივერსიტეტის რექტორი იყო, ხოლო შემდეგ პროფესორად დარჩა უნივერსიტეტში. 1930 წ.—დანიშნულ იქნა საქართველოს მუზეუმის მეცნიერ კონსულტანტად, ხოლო 1936 წელს—იქვე, საისტორიო განყოფილების გამგედ. 1936-37 წლებში ი. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქისადმი მიძღვნილი გამოფენის მოწყობას, ამავე დროს დანიშნულ იქნა შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის დირექტორად.

1936 წლიდან ი. ჯავახიშვილი ითვლებოდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის მეცნიერ კონსულტანტად.

1938 წელს, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 წლისთავზე საკავშირო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ი. ჯავახიშვილი დაჯილდოებული იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. იმავე წლის 12 ივნისს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს, 1939 წელს კი—სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

ასეთი იყო მოკლედ ამ შესანიშნავი ადამიანის და დიდი ქართველი მეცნიერის ბრწყინვალე შემოქმედებითი გზა.

***

მხცოვან მეცნიერს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიეცა მთელი თავისი შემოქმედებითი უნარის გაშლის საშუალება. პარტიამ და ხელისუფლებამ, ისე როგორც ყველა საბჭოთა მეცნიერს, ივანე ჯავახიშვილსაც შეუქმნა მუშაობის ისეთი პირობები, რომლებზედაც წინათ ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. მხოლოდ ლენინურ-სტალინურ ეპოქაში მიაღწია ივანე ჯავახიშვილმა თავისი მოღვაწეობის ზენიტს, დაამუშავა და გამოსცა თავისი ძირითადი, კაპიტალური ნაშრომები. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მეცნიერის შემოქმედებამ ფართო მასებამდე მიაღწია და იგი პოპულარული და საყოველთაოდ ცნობილი გახდა ისე, როგორც არასდროს.

ივანე ჯავახიშვილი იმ მეცნიერების წარმომადგენელი იყო, „რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზად არის ემსახუროს ხალხს, მზად არის გადასცეს ხალხს მეცნიერების ყველა მონაპოვარი, რომელიც მომსახურებას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხალისით“ (სტალინი).

ფაქტიური მასალისა და ახალი წყაროების ძიების პროცესში ი. ჯავახიშვილმა ბევრი რამ უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოაჩინა. მან იპოვა ქართულ მატიანეთა შესანიშნავი კრებულის „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ხელთნაწერი — ანა დედოფლისეული ხელთნაწერი, იმავე კრებულის გაგრძელება შედგენილი მეფე ვახტანგ VI დავალებით ისტორიკოსთა კომისიის მიერ ეგნატაშვილის ბერის მეთაურობით, თამარ მეფის მესამე ისტორიკოსის ბასილის თხზულებანი და მრავალი სხვა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ხანმეტი“ ტექსტები — ქართული დამწერლობის უძველესი ძეგლები, რომელთა აღმოჩენამ მთელი ახალი ეპოქა შეჰქმნა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

უდიდესი ფაქტიური მასალის საფუძველზე ი. ჯავახიშვილმა დაწერა ქართველი ხალხის, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძველესი ხალხის ისტორია. ეს არის კაპიტალური ნაშრომი, რომელიც მუდმივ საკითხავ წიგნად დარჩება ყველასთვის, ვინც საქართველოს და კავკასიის სხვა ხალხთა ისტორიაზე იმუშავებს.

ივანე ჯავახიშვილის კალამს 90-მდე მეცნიერული ნაშრომი ეკუთვნის.

შალვა კაშმაძე

ლიმის სადგურში







მესამე წელია, რაც თბილისის მახლობლად, სოფელ დიღმის განაპირას მუშაობს მანქანათა გამომცდელი საქართველოს სახელმწიფო ზონალური სადგური. იგი სოფლის მეურნეობის საკავშირო სამინისტროს სისტემაში შედის. მისი დანიშნულებაა სოფლის მეურნეობისათვის ახლად დაპროექტებული მანქანების სახელმწიფო გამოცდა, მათი ვარგისიანობის დადასტურება.

საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოდის ამ სადგურში საკონსტრუქტორო ბიუროების მიერ შექმნილი მანქანები, რომელთაც პრაქტიკულად ცდიან ადგილებზე სპეციალტისები. სადგურის მიერ მოწონების შემდეგ იწყება მანქანის სერიული გამოშვება.

1951 წელს საქართველოს ზონალურმა სადგურმა გამოსცადა სასოფლო-სამეურნეო მანქანების 51 ნიმუში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი მანქანა: სიმინდის ასაღები კომბაინი სილოსის მასის საგროვებლით. იგი ცვლაში 6-7 ჰექტარზე აიღებს მოსავალს. პირველი გამოცდის შედეგები დამაკმაყოფილებელია. მიმდინარე წელს გამოყოფილია სპეციალური ნაკვეთი, რომელიც მომზადდება მანქანის გამოსაცდელად. მანქანა დამზადებულია როსტოვის „სელმაშის“ მიერ. იგი 40-ჯერ გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, ძალზე შეამცირებს სიმინდის აღების ვადებს.

ბევრი მუშახელი სჭირდება ხმელი ხილის დამზადებას. მსხლისა და ვაშლის ჩირზე დიდი მოთხოვნილებაა, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ რაიონებში. კოლმეურნე გ. ახვლედიანმა დააპროექტა ხილის საჭრელი მანქანა. იგი მარტივი კონსტრუქციისაა. მისი გამოყენება შეიძლება ხელითაც და ელექტრონითაც, იგი საათში ერთ ტონა ხილს ჭრის. მანქანა გამოცდილი იქნა მეჯვრისხევის ხილის საჭრელ ქარხანაში და მიღებულია სერიული გამოშვებისათვის.

სადგურმა გამოსცადა და რეკომენდაცია მისცა დოც. ხუციშვილის მიერ კონსტრუირებულ სამთო-საბრუნავ გუთანს—(პოგ—27-ს), პროფ. გ. შხვაცაბაიას და ე. დოლიძის — ჩაის მწკრივთა შორის მინერალური სასუქის ახალ მანქანა. გამოცდილია, აგრეთვე, პროფ. გ. შხვაცაბაიას მიერ კონსტრუირებული როტაციული დინამომეტრი. იგი ზონალურ სადგურებში ფართოდ გამოყენებულია ტრაქტორზე მისაბმელი მანქანების (გუთნების კულტივატორების და სხვ.) დინამომეტრირების ჩასატარებლად და სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღების ენერგეტიკის შესასწავლად.

ზონალური სადგურის მიერ გამოცდილი და მოწონებულია ნ. კოსტავას სისტემის ჩაის სასხლავი მანქანა ჩუგ—1, რომელიც სერიულად გამოვა და მიმდინარე წელს გაივლის ფართო სამეურნეო გამოცდას. მანქანას მართავს ერთი კაცი. იგი ერთ დღეში სხლავს 2 ჰექტარ ჩაის პლანტაციას. მანქანაზე შეიძლება მიბმულ იქნას კულტივაციისა და სასუქის შემტანი მოწყობილობანი. ეს მანქანა დღეში 45 კაცის სამუშაოს შეასრულებს.

მოწონებულია აგრეთვე საქართველოს სპეციალური საკონსტრუქციო ბიუროს მიერ შექმნილი ჩაის სასხლავი უნივერსალური თვითმავალი მანქანა ჩსმ—12. გარდა სხვლისა, ამ მანქანით შეიძლება კულტივაციის ჩატარება და ჩაის მავნებლებთან ბრძოლა ფუმიგაციის აპარატით. მანქანა დღეში სხლავს 3-3 $^1/_2$ ჰექტარ ჩაის პლანტაციას. იგი 75 კაცის სამუშაოს ასრულებს დღიურად.

საქართველოს ზონალურმა სადგურმა მიმდინარე წელს გამოსაცდელად მიიღო „ვისხომისა“ და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რიაზანის ქარხნის მიერ კონსტრუირებული კარტოფილის კვადრატულად და ბუდობრივად სათესი მანქანა. გამოცდის შემდეგ მოწონებული იქნა რიაზანის ქარხნის მანქანა.

ამ მანქანით დარგული კარტოფილის დამუშავება გაადვილებულია ორმხრივი ჯვარედინი კულტივაციით. სამუშაო დღის განმავლობაში მანქანას შეუძლია კარტოფილის 3-4 ჰექტარ ფართობზე დარგვა. (ხელით დარგვის დროს 1 ჰექტარს სჭირდება 15 მუშახელი).

ამჟამად ზონალური სადგური ცდის მრავალი სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანას. ყურადღებას იპყრობს ტორფის მასივებში სამუშაოდ განკუთვნილი ახალი ტიპის მუხლუხა ტრაქტორი — დტ — 55, რომელიც ჭაობების ამოსაშრობად და ძირკვებისაგან მიწის გასაწმენდად უნდა იქნას გამოყენებული, მისი სიმძლავრე 54 ცხენისძალას უდრის. ამის გარდა, ტუნგოს გასარჩევად ლიეთუვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ცდიან ოთხი სახის სხვადასხვა მანქანას. მიმდინარე წელს გამოცდილი იქნება, აგრეთვე, საქართველოს საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ დამზადებული ჩაის საკრეფი მანქანები.

საქართველოს ზონალური სადგური მოწოდებულია ხელი შეუწყოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის საქმეს, შეაიარაღოს იგი სრულყოფილი მანქანებით.

ფოტოზე — ზემოდან ქვემოთ:
სიმინდის ასაღები კომბაინები; კარტოფილის კვადრატულად და ბუდობრივად სათესი მანქანა; ჭაობის მუხლუხა „ტრაქტორი“ — დტ — 55; „ჭაობის გუთანი — პკბ—2—54.

სუეცის არხი

სუეცის არხი მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენს.

1856 წელს ფრანგმა, ფერდინანდ ლესეპსმა საფრანგეთის მთავრობის მხარდაჭერით, რომელსაც თავისი ინტერესები ჰქონდა ეგვიპტეში, ეგვიპტის ფაშა საიდისაგან მიიღო თანხმობა სუეცის არხის გათხრაზე.

ლესეპსის ხელმძღვანელობით შეიქმნა „სუეცის არხის მსოფლიო კომპანია", რომელმაც 1859 წელს დაიწყო სუეცის არხის გათხრა.

არხის მშენებლობა ათ წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. დაიწყო 1859 წლის აპრილში და დამთავრდა 1869 წლის ნოემბერში. მთელი ამ ხნის განმავლობაში, არხის ნშენებლობაზე ყოველთვიურად ძალდატანებით 20-დან 30 ათასამდე მუშას მიერეკებოდნენ.

მომქანცავმა, არაადამიანურმა შრომამ 20 ათასზე მეტი ეგვიპტელი იმსხვერპლა.

არხი სანაოსნოდ გახსნილი იქნა 1869 წელს.

ინგლისელებმა, რომლებიც თავიდანვე დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ არხს, 1875 წელს ისარგებლეს, ხედივ ისმაილის მძიმე ფინანსიური მდგომარეობით და მისგან იყიდეს სუეცის არხის აქციების 45 პროცენტი.

ამით ინგლისელებმა საფუძველი ჩაუყარეს თავიანთ მფლობელობას სუეცის არხზე. 1882 წელს კი მათ მოახდინეს ეგვიპტის ოკუპაცია. გადააქციეს ეგვიპტე თავის კოლონიად და სუეცის არხზე გაბატონდნენ.

ყველაზე მძიმე უღელი ეგვიპტელი ხალხისათვის 1936 წლის ხელშეკრულება იყო, რომელიც ინგლისელებმა ძალით მოახვიეს თავს ეგვიპტელ ხალხს.

ამ ხელშეკრულების ძალით ინგლისელებმა უფლება მიიღეს სუეცის არხის ზონაში 10 ათასი ჯარისკაცი ჰყოლოდათ; ეს რიცხვი შემდეგში 100 ათას ჯარისკაცამდე აიყვანეს.

სუეცის არხის მთელი ზონა სამხედრო სიმაგრეების, აეროდრომების და სხვა სამხედრო ობიექტების ჯაჭვს წარმოადგენს. ინგლისელი ოკუპანტების მთავარი ცენტრია ფაიდი.

სუეცის არხის სიგრძე 156 კმ. უდრის და მასზე საოკეანო გემები დადიან.

თავდაპირველად არხის სიგნე დაახლოებით 21 მეტრს უდრიდა, ხოლო სიღრმე 7,3 მეტრს. შემდგომ სიგანე 119 მეტრამდე გაიზარდა, ხოლო სიღრმემ 12,8 მეტრს მიაღწია.

არხის მთავარი ნავსადგურებია: ხმელთაშუა ზღვაზე - პორტ-საიდი, წითელ ზღვაზე—სუეცი და არხის შუა წელზე—ისმაილია.

სუეცის არხი მნიშვნელოვნად ამცირებს გზას ევროპიდან აზიისაკენ. ასე მაგ., გზა ზღვით ლონდონიდან ბომბეიმდე სუეცის არხზე გავლით 24 დღით უფრო მოკლეა, ვიდრე გზა აფრიკის შემოვლით.

თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობის წყალობით, სუეცის არხი არის საერთაშორისო მნიშვნელობის საზღვაო გზა.

არხის ტვირთბრუნვა ძირითადათ მსხვილი კაპიტალისტური სახელმწიფოების ინტერესებს გამოხატავს. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ არხით გააქვთ უმთავრესად სამრეწველო საქონელი, რომელსაც ევროპიდან კოლონიებისაკენ გზავნიან, ხოლო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ კი ეზიდებიან ძვირფას პროდუქტებს: კაუჩუკს, აკლას, ჯუტს, ბრინჯს და სხვ.

კაპიტალისტური სახელმწიფოები არხს აგრესიული გეგმებისთვისაც იყენებენ. არხზე გადიან სამხედრო საჭურველით და ჯარისკაცებით დატვირთული გემები, რომლებიც შემდგომ მორეული აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიისაკენ მიემართებიან, რათა ომი აწარმოონ კორეისა და ვიეტნამის წინააღმდეგ, ჩაახშონ ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა მალაიაში და ინდონეზიაში.

უკვე სამოცდაათი წელია, რაც ინგლისელები სუეცის არხზე ბატონობენ. ეგვიპტელი ხალხი არაერთხელ ამხედრებულა ოკუპანტების წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ეგვიპტეში ფართოდ გაიშალა მოძრაობა 1936 წლის არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულების გასაუქმებლად.

სახალხო მოძრაობა ინგლისელი ოკუპანტების წინააღმდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა 1931 წლის ბაფხულიდან.

ეგვიპტელი ხალხის მოძრაობას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ ვერ შეაჩერებენ კრეისერის ქვემეზები და თვითმფრინავები.

ეგვიპტელი ხალხი მოითხოვს, რომ სუეცის არხი ეგვიპტეს ეკუთვნოდეს, რომ იგი თავისუფალი იყოს უცხოელი იმპერიალისტებისაგან.

ნოდარ ნაჭყებია

სიცოცხლის ძირი

შორეულ აღმოსავლეთში ღრმა დაბლობებსა და გაუვალ ტყეებში იზრდება მცენარე ჟენ-შენი, რაც ჩინურად ნიშნავს—„ძირი — ადამიანი". იგი უმთავრესად იზრდება ფხვიერ მიწაზე ჩრდილოვან ადგილებში, განსაკუთრებით ცაცხვების ჩრდილ ქვეშ.

ეს სახელი მცენარეს იმიტომ ეწოდება, რომ მისი ძირი ადამიანის ფიგურას ჰგავს თავისი ფორმით. მისი სიგრძე 25-30 სანტიმეტრს არ აღემატება— დიამეტრი კი 3 სანტიმეტრამდე აღწევს. ჟენ-შენის წონა ჩვეულებრივად 40 გრამია. მაგრამ არის შემთხვევები, როცა საკმაოდ მოზრდილ ძირებსაც ნახულობენ. მაგალითად, სუგანში (სსრკ) ნახულ იქნა 600 გრამიანი ძირი, რომელიც 200 წლის აღმოჩნდა. მისი სწორი ბალახისებური ღერო 20-70 სანტ. სიმაღლისაა, ფოთლები ღიამწვანე ფერისა აქვს. ნაყოფი წითელია და კურკოვანი.

ჟენ-შენი უმთავრესად იზრდება კეტეისკის მთაგრეხილის მიდამოებში. ამას გარდა, მას შეხვდებით ჩინეთის ჩრდილოეთ რაიონებში, ტიბეტში ინდოჩინეთში, ჩრდილოეთ კორეაში და იაპონიაში. საბჭოთა კავშირში ეს მცენარე აღმოჩენილ იქნა მდინარე ბაკინის, იმანის, ულახეს, დაბიხეს, ვანდის, ფუძინისა და სუგანის დაბლობებში.

აზიის ქვეყნებში უხსოვარ დროიდან იყენებენ ჟენ-შენს სხვადასხვა ქრონიკული დაავადების წინააღმდეგ (ტუბერკულოზი, რევმატიზმი, სისხლისა და ნერვების სნეულებანი). ჟენ-შენის გამოყენების პრაქტიკამ დაადასტურა, რომ იგი აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, სისხლის მიმოქცევას, აძლიერებს ადამიანის ენერგიას და კარგად მოქმედებს ორგანოებზე გულისა და სისხლის ძარღვების დაავადებათა შემთხვევაში. მისი გამოყენება სასურველ შედეგებს იძლევა აგრეთვე ორგანიზმის მოქანცვის, სხვადასხვა სახის ნევრასტენიის, უძილობის და თავის ტკივილის დროს. ჟენ-შენის სამკურნალო თვისებები გამოვლინებულ იქნა უძველესი დროიდან ჩინურ-ტიბეტურ სახალხო მედიცინის მიერ. დიდი ხნის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდნენ ამ მცენარიდან წამლების გაკეთების რეცეპტებს და საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება თაობიდან თაობაში გადადიოდა. ჟენ-შენი 1616 წლამდე ევროპაში ცნობილი არ იყო. ცნობები ამ მცენარის შესახებ ევროპიელმა მოგზაურებმა აზიიდან შემოიტანეს.

ჟენ-შენი მეცნიერულად შესწავლილ იქნა მხოლოდ XIX საუკუნეში. ამ საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი რუს მეცნიერებს მიუძღვით.

ჟენ-შენის შესასწავლად ინტენსიურ მუშაობას აწარმოებენ საბჭოთა მეცნიერები. მათ დააზუსტეს მისი გავრცელების რაიონი, შემადგენლობა და ფარმაკოლოგიური მოქმედება. დაიწყო ჟენ-შენის მოვლა-მოშენება შორეულ აღმოსავლეთის ერთ-ერთ საბჭოთა მეურნეობაში. შექმნილია ჟენ-შენის სპეციალური კომიტეტი.

1947 წელს ბოტანიკოსების, ქიმიკოსებისა და ექიმების ჯგუფმა დაიწყო ჟენ-შენის კომპლექსური შესწავლა. მის ძირებში აღმოჩენილ იქნა მრავალი ნივთიერება, რომლებიც იხსნება წყალსა და სპირტში. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ჟენ-შენის მცირე დოზები ცენტრალურ ნერვიულ სისტემაზე მოქმედებენ აღმგზნებლად, დიდი დოზები კი წინააღმდეგ, მას აფუნებენ.

ჟენ-შენის ხსნარის მომზადების ყველაზე უფრო გავრცელებული წესი შემდეგია: შეგროვებულ ძირებს საფუძვლიანად წმენდენ, რეცხავენ და ადუღებენ წყალში. შემდეგ ერთი საათის განმავლობაში ხარშავენ შაქრის სიროპში და აშრობენ. ძირი ხდება მაგარი, რქისებური, ნახევრად გამსჭვირვალე.

ჟენ-შენი იხმარება 10%-იანი სპირტის ხსნარის სახით 20-30 წვეთი ჭამის წინ 1/2 საათით ადრე. ჟენ-შენის ძირის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ექიმის რჩევით, რადგან ზოგიერთ დაავადებას (ჰიპერტონია, არტერიოსკლეროზი და სხვა) იგი ვნებს.

(ჟურნალ „ნაუკა ი ჟიზნიდან")

გარეკანის პირველ გვერდზე — ლ. [redacted] სახელობის დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საცდელ უბანზე — ფოტო კ. კრიმსკისა. მეორე გვერდზე—სახლი ღლიანოვსკში. სადაც დაიბადა ვ. ი. ლენინი — ნახატი ზ. ლეკაკასი. მესამე გვერდზე—გაზაფხული 29-ე სკოლის ბაღში — ფოტოტიუდი ბ. ჯეირანოვისა. მეოთხე გვერდზე — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იალაღებზე — ფოტო ს. კოროტკოვისა.

გარეკანი დაბეჭდილია ფოტოციენკოგრაფიაში.

ჩართულ გვერდებზე — ქართული არქიტექტურის ძეგლები — ფოტო შიმანსკისა და ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი—ფერადი ფოტოები ი. ხალიპისა.

ჩართული გვერდები დაბეჭდილია ფერადი ბეჭდვის სტამბაში.

რედაქტორი — გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბოლეხანოვის პრ., № 91. ტელ. № 3-95-38

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IV -52 წ. გამომც № 92 — ნაბეჭდი ფურცელი 3½, ტირაჟი — 15.000 — შეკვ. № 196 — უე 02462

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

63/63
ფასი 3 მან.
ДР 12
ГССР ЕПИ БИКА
ეროვნული
ბიბლიოთეკა